# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 5 დეკემბერი 2006 №281 (2903) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრანსფერისცვალება

### დინამო ევროპამოვლილ ავსტრალიელ ხორვატს იმატებს და ხუთს იმეტებს



## ღიმილიონი

### რონალდინიო 2006: ერთი კბილი ერთი მილიონი

დევიდ ბექემმა 2006 წელს ფეხბურთითა და სარეკლამო ბანერებზე პოზიორობით 23 მილიონ 750 ათასი დოლარი მოიხვეჭა და... მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელის ტიტული დაკარგა.

იცნობდეთ — თუმცა, რა ცნობა უნდა — რონალდინიო — მსოფლიოს ახალი ყველაზე დიდფულიანი ფეხბურთელი.

ბრაზილიელმა „დანონის" რძის პროდუქტების, „ლეისის" ჩიპსების და „ჰიუნდაის" მანქანების ქებაში, „ნაიკის" ბუცების ჩაცმასა და ამ ბუცებით ბურთის გორებაში 2006 წელს 33 მილიონი გამოიმუშავა.

საცოდავი დევიდ ბექემი...



იოზეფ ბლატერი, ფიფას პრეზიდენტი და ახალ-ახალი რევოლუციური იდეების გენერატორი, ევროპის ქვეყნებს მიმართავს: გადადით გაზაფხულ-შემოდგომის სისტემაზე. ეს ნიშნავს, რომ ევროპული ჩემპიონატები აგვისტოს ნაცვლად თებერვალში უნდა დაიწყოს და მაისის ნაცვლად ნოემბერში დასრულდეს. ერთი სიტყვით, როცა რუსები და სკანდინავიელთა ნაწილი „ევროპულ" მოდელზე გადასვლაზე ფიქრობენ, ბლატერი ევროპას „რუსულ" მოდელს ურჩევს.

ურჩევს და ურჩიოს — ბლატერის სიტყვას ამ შემთხვევაში ბრძანების ძალა ვერ ექნება. პასუხი კი ევროპელებზეა. ისე, ბლატერისვე თქმით, ბევრ ევროპულ კლუბს ამ იდეის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

## იოზეფ ბლატერმა ვივალდი დაუკრა

### წელიწადის დრონი მეფობენ თუ მეფენი?



## იუბილე ბეწვის ხიდზე

### ბარსას სიმდიდრე და შიში: 400 ევრო და ანტირეკორდი

დღეს, შუაღამეს 15 წუთი რომ დააკლდება, „ბარსელონა" ევროსარბიელზე მეოთხასედ გააგორებს ბურთს! თუმცა რა გორება, რის გორება — „კამპ ნოუს" „ვერდერი" სტუმრობს და ჩემპიონთა ჩემპიონს **A** ჯგუფიდან გასვლას ეცილება. მერედა, თუ ვერ მოიგებს, „ბარსა" ანტირეკორდს დაამყარებს — შეიქნება ლიგის პირველი გამარჯვებული, რომელიც შემდგომ გათამაშებაში ჯგუფში ჩარჩა. მოკლედ, ფრანკ რაიკარდის ბიჭებს მხოლოდ მოგება უნდათ, იმავ ჯგუფის გამარჯვებული „ჩელსი" კი შინ სოფიის „ლევსკის" უმასპინძლებს და ნამდვილად არაფერზე ინერვიულებს. „ლევსკიმ" ხომ აქამდე ხუთივე თამაში წააგო, ერთადერთხელ გაიტანა და თხუთმეტჯერ გაუშვა.

„ბარსამდელი", 2005 წლის ტრიუმფატორი „ლივერპული" სტამბოლში იმ სტადიონზე ჩადის, სადაც „მილანს" დიდებული ფინალი მოუგო — ლივერპულელებს „გალათასარაი" მასპინძლობს. იმავ **C** ჯგუფში „პსვ ეინდჰოვენი" „ბორდოს" ხვდება, მაგრამ, ვაგლახ, აქ ყველაფერი გარკვეულია. „ლივერპული" და პსვ გასულები არიან, „ბორდო" კი უეფას თასზე გადადის.

„რომა" ლიგის ორგზის ფინალისტ „ვალენსიას" მასპინძლობს და ფრე მაინც უნდა, რათა მეორე ადგილით გააგრძელოს ბრძოლა. „ვალენსიას" უამრავი ხალხი ჰყავს დაშავებული. **D** ჯგუფში თეორიული შანსი აქვს დონეცკის „შახტარსაც", რომელმაც თავის მხრივ „ოლიმპიაკოსს" უნდა მოუგოს და თან „რომას" წაგებითაც ისარგებლოს.

**B** ჯგუფში „ბაიერნი" „ინტერს" დაუხვდება. ორივე გუნდი მერვედფინალისტია, უბრალოდ, პირველ-მეორეობაა გასარკვევი.


AFP



ლადო ახალაია



მიხეილ ბობოხიძე



შოთა გრიგალაშვილი



შოთა ბაბუნაშვილი



კახა მახარაძე




# დინამოში დიდი კარიერა ჩამოვიდა

**საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" სეზონის ნახევარი გუშინწინ მოილია და გუშინ უკვე ახალი ამბები გამოამზეურა, თანაც ერთობ მნიშვნელოვანი და ისეთი, ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვის საინტერესო და სასიამოვნო რომ იქნება...**

მაშ ასე: გუშინ თბილისში ჩამოვიდა და დუშან უჰრინის ხელმძღვანელობით „დინამოსთან" ერთად ივარჯიშა ხორვატული წარმოშობის 35 წლის ავსტრალიელმა ფეხბურთელმა ნედ ზელიჩმა. „დინამოსა" და ამ ფეხბურთელის სამომავლო ურთიერთობის საკითხი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, თუმცა ის ფაქტი, რომ ნედ ზელიჩი შესაძლოა, „დინამოს" შეემატოს, თავისთავად ძალიან საინტერესოა.

ამ ფეხბურთელს, რომელიც სიდნეიში 1971 წლის 4 ივლისს დაიბადა, თავის დროზე 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე უთამაშია, შემდეგ იყო ინგლისური „ნიუკასლის" ახალგაზრდულ გუნდში, ჩემპიონი გამხდარა ბუნდესლიგის „დორტმუნდში", უთამაშია „აინტრახტში", „მიუნხენში", ინგლისურ „ქუინზ პარკ რეინჯერსში"...

ზელიჩმა ავსტრალიის ეროვნულ გუნდში 40 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. ნაკრები რამდენიმე წლის წინ მწვრთნელ ფრანკ ფარინასთან კონფლიქტის გამო დატოვა. ჩვენი ავსტრალიელი კოლეგების თქმით, ფარინა ზელიჩს გუნდის ლიდერად მიიჩნევდა და მისგან, ცოტა არ იყოს, უცნაურ რამეებსაც ითხოვდა, რაც ნედმა ვეღარ აიტანა. ნაკრებიდან წასვლის შემდეგ კი ზელიჩი ტელემიმომხილველადაც უნახავთ, ის შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის, ავსტრალია — ურუგვაის კომენტატორი იყო და მოგვიანებით ოზთა ნაკრების სხვა შეხვედრებსაც მიმოიხილავდა.

ზელიჩი ამპლუით ცენტრალური მცველია, მოედნის კარგი ხედვით, იდეალური პასებითა და მახვილგონივრობით გამოირჩევა. ის „დინამოსთან" ფიფას აგენტმა აკა ტონიამ დააკავშირა. თბილისში ჩამოსვლამდე კი თამაშობდა ჰოლანდიურ „ჰელმონდში", საიდანაც უკვე თავისუფალია...

— თბილისის „დინამოს", ცხადია, ვიცნობ. ერთ დროს „დინამო" ევროპის უძლიერეს კლუბთა შორის იყო. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ თბილისში ვარ და ამ სახელოვან გუნდში ვვარჯიშობ, „დინამოში" სიამოვნებით ვითამაშებდი — თქვა „დინამოსთან" პირველი ნაცნობობის შემდეგ ავსტრალიელმა ფეხბურთელმა, რომელიც ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს.

ითამაშებს თუ არა ნედ ზელიჩი „დინამოში", ცხადია, ბოლო სიტყვას თბილისელთა თავკაცი დუშან უჰრინი იტყვის. გუშინდელი ნაცნობობით კი ფეხბურთელიც და კლუბიც კმაყოფილნი არიან...

ზელიჩი თბილისს ხვალ-ზეგ დატოვებს, ხოლო მერე, უჰრინის თანხმობა თუ იქნა, ფეხბურთელი „დინამოს" იანვარში ანთალიურ შეკრებაზე შეუერთდება. ისე, თბილისელთა თავკაცს ერთხელ და ორჯერ არ უთქვამს, გამოცდილი ფეხბურთელები მჭირდებაო...

ვნახოთ, სწორედაც რომ გამოცდილება ნედ ზელიჩს ნამდვილად არ დაეწუნება.

მოკლედ, „დინამოში" მატებაა, თუმცა... მიხეილ ბობოხიძე, შოთა ბაბუნაშვილი, ლადო ახალაია, კახა მახარაძე და შოთა გრიგალაშვილი თბილისელებმა ტრანსფერზე დააყენეს და მალე მათ დაემშვიდობებიან კიდეც. ბობოხიძეს და ახალაიას, როგორც თავად უთქვამთ, საქართველოს ჩემპიონატში თავიანთი შესაძლებლობები უკვე ამოუწურავთ და გუნდიდან გაშვება თავადვე უთხოვიათ, დანარჩენები კი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ და ჩანს, ისინი დუშან უჰრინს აღარ სჭირდება. ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელებით დაინტერესება რამდენიმე გუნდმა უკვე გამოთქვა და მათი მომავალიც მალე უნდა გაირკვეს.

**ქობა ინასარიძე**

# ხიდეშელი მძიმედაა

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრა „სპარტაკსა" და „ზესტაფონს" შორის თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ სპარტაკელთა თხოვნით, მატჩს ზესტაფონმა „უმასპინძლა". საშემოდგომო სეზონის ბოლო შეხვედრა კი სერიოზულ ტრავმად დაუჯდა ზესტაფონელთა ახალგაზრდა მცველ გიორგი ხიდეშელს — ექიმებმა ტვინის შერყევა დაუდგინეს და, ბუნებრივია, იგი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს მალტაზე ვეღარ გაჰყვა.

„სათამაშო ეპიზოდი იყო, ფეხბურთელები ბურთისთვის იბრძოდნენ და ხიდეშელი უხერხულად დაეცა. მიწაზე თავი დაარტყა და თავიდან შოკში იყო. ექიმებმა ტვინის შერყევის მძიმე ფორმა დაუდგინეს" — გვითხრა ზესტაფონელთა პრესატაშემ სერგო ფუტკარაძემ.

ასე რომ, ხიდეშელს საკმაო ხანი მოუწევს დასვენება.

ახლა კი გუნდზეც ვთქვათ: „ზესტაფონმა" პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა, მაგრამ გუნდს გაცილებით დიდი ამბიცია აქვს და წრეებს შორის შესვენებისას იმერულ კლუბში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი.



„რვა ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა, მათგან რამდენიმე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. ახლა ამ საკითხზე გუნდის ხელმძღვანელობა მუშაობს და ზოგიერთ მათგანთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე დაიწყო. უმოკლეს ვადაში ყველაფერი გაირკვევა. გუნდს საჩემპიონო ამბიცია აქვს და გაძლიერებაზეც ფიქრობს. ხელმძღვანელობა რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდება და მალე საჭირო მოთამაშეებს დავიმატებთ" — გვითხრა ფუტკარაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველებს მწვრთნელი და პრეზიდენტი გაექცათ

**უკრაინის** ჩემპიონატის დაწყებამდე ფინანსური პრობლემების გამო კრივოი როგის „კრივბასს" უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში დაქვეითება ემუქრებოდა, თუმცა ბოლოს თანხა რაღაც ძალებით გამოიძებნა და...

როგორც გამოჩნდა, კლუბმა მხოლოდ ოთხი თვე იარსება — „კრივბასში" ისევ პრობლემებია და გუნდი უკვე დატოვეს მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა და პრეზიდენტმა სერგეი პოლიშჩუკმა.

„1 დეკემბრიდან კლუბის პრეზიდენტად აღარ ვითვლები. აქციონერებთან და სპონსორებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ამიტომ თანამდებობის დატოვება გადავწყვიტე... იჯარით აყვანილმა ფეხბურთელებმა უკვე დატოვეს „კრივბასი"... ათი წელი ვიყავი გუნდის პრეზიდენტი და გული მწყდება, რომ შესაძლოა, „კრივბასი" ქვედა ლიგაში ვიხილო" — განაცხადა პოლიშჩუკმა.

ცხადია, „კრივბასის" ბედი ქართველი ფეხბურთელების — ვასილ გიგიაძის და ლადო ბურდულის გამო გვაინტერესებს. ორივე საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატია და „კრივბასთან" მოქმედი კონტრაქტი აქვთ. გიგიაძით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და შესაძლოა, კრივბასელთა კაპიტანი სხვა კლუბში ვიხილოთ. აი, ლადო ბურდულის ამბავი ჯერჯერობით გაურკვეველია...

გუშინ ლადო ბურდულს შევეხმიანეთ და ეს გვითხრა: „ახლა შვებულებაში ვარ. სამი დღის წინ ყველაფერი რიგზე იყო და რა შეიცვალა ასე მოკლე ხანში, არ ვიცი. იმედია, პრობლემები მოგვარდება, თუ არა და, სხვა კლუბის მოძიება მომიწევს. პრობლემა არ არის, გამოჩნდება რაიმე ვარიანტი".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი
პრემიერლიგა. XVI ტური

მანჩესტერ სიტი 0:0 უოტფორდი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XVIII ტური

რეიმსი 2:2 კაენი

### შვეიცარია
სუპერლიგა. XVII ტური

ბაზელი 3:0 ლუცერნი

### იტალია
სერია B. XIV ტური

ლეჩე 2:1 ბრეშა

სერია C/A. XIV ტური

მონცა 0:2 სასუოლო

სერია C/B. XIV ტური

კავეზე 3:1 იუვე სტაბია

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XV ტური

კიოლნი 1:3 დუისბურგი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XII ტური

მარიტიმუ 1:0 სეტუბალი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XVI ტური

უიპეშტი 0:3 დიოშდიორი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XVII ტური

კლადნო 0:2 სპარტა

### რუმინეთი
A დივიზიონი. XVIII ტური

დინამო 1:0 ნაციონალი

# უფრო ფორმალური და სერიოზული




ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-15 ტურში შოთა არველაძის „ალკმაარმა“ „ექსელსიორს“ 5:0 მოუგო და არველაძემ ორი გოლი გაიტანა. ამ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე კი uefa.com-მა წერილი გამოაქვეყნა არველაძეზე, სადაც „ალკმაარის“ სახელოვანმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ჩვენებური ფრანკ რაიკარდსაც კი შეადარა.

როგორც კაპიტანი და როგორც მნიშვნელოვანი ფიგურა გუნდში — ამ კრიტერიუმებით გაუთანაბრა ვან გაალმა შოთა რაიკარდს. „ბარსელონას“ ახლანდელი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი თავის დროს ამსტერდამის „აიაქსს“ კაპიტნობდა, არველაძე კი ახლა „ალკმაარის“ სკიპერია

## შოთა არველაძის საახალწლო დაპირება

„ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთი მწვრთნელი ასეთ ფეხბურთელს შეგადარებს — ასეთია შოთას კომენტარი ვან გაალის გამონათქვამზე — იმ გუნდის კაპიტანი ვარ, რომლის მწვრთნელიც ვან გაალია და ასეთი ნდობა მართლაც სასიამოვნოა“.

მაინც რა პასუხისმგებლობა მოემატა შოთას მას შემდეგ, რაც მიმდინარე სეზონიდან „ალკმაარის“ კაპიტანი გახდა?

„მოედანზე კვლავაც ისეთი აქტიური ვარ, როგორიც ვიყავი, კაპიტნობამდეც აქტიურად ვცდილობდი საჭირო მომენტში თანაგუნდელების გამხნევებას. ახლა კი მოედნის მიღმაც ვგრძნობ მეტ პასუხისმგებლობას, უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევ ფორმალობებს და მეტი სერიოზულობით ვეკიდები რაღაც საკითხებს“ — განგვიმარტა არველაძემ.

წინა, მისთვის პირველ ალკმაარულ სეზონში არველაძე ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მხოლოდ აიაქსელ კლას-იან ჰუნტელაარს ჩამორჩა. ახლა კი რამდენიმე მეგოლეს ჩამორჩება, ხოლო ლიდერ ბომბარდირ ალფონსო ალვეშთან („ჰერენვენი“) შვიდ ბურთს აგებს.

„მუხლის ტრავმის გამო ხშირად მხოლოდ სამოც წუთს ვთამაშობ. „ექსელსიორთანაც“ დაახლოებით ამ დროს გამომცვალეს, თორემ ალბათ კიდევ შევაგდები. შარშან ახალი წლისთვის ჰოლანდიის ჩემპიონატში 12 გოლი მქონდა გატანილი და ახლაც, საახალწლოდ ამაზე ნაკლები გოლი არ მექნება შეგდებული. მიმდინარე სეზონში სულ 16 გოლი გავიტანე — 9 ჩემპიონატში, 3 უეფას თასზე და 4 ნაკრებში — ეს ალბათ ცოტა არ არის“ — გვითხრა არველაძემ.

„ალკმაარი“ ჰოლანდიის წინა ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და ჯერჯერობით ახლაც მეორე ადგილზეა — პსვ-ს ხუთი ქულით ჩამორჩება. ასეთი ჩამორჩენა იმანაც განაპირობა, რომ „ალკმაარს“ ტრავმის გამო ჯერ პირველი მეკარე გამოაკლდა, მერე მეორე და მესამე მეკარის იმედად დარჩა.

„წინა სეზონის შემდეგ გუნდი კენეტ პერესმა და დენი ლანძაატმა რომ დატოვეს, ეს „ალკმაარისთვის“ მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო. ამას მეკარეების ტრავმებიც დაერთო და ყველაფერმა ამან, რა თქმა უნდა, გუნდზე იმოქმედა. თუმც დღეს „ალკმაარმა“ ჩემი ყოფილი თანაგუნდელი დაიმატა — „რეინჯერსიდან“ წამოსული მეკარე რონალდ ვატერეუსი“ — გვამცნო შოთამ.

არველაძეს ურუგვაისთან ბოლო სანაკრებო მატჩში არ უთამაშია — კლაუს ტოპმიოლერმა ის იმიტომ არ გამოიძახა, რომ მისი ტრავმიანი მუხლის დატვირთვას მოერიდა ამხანაგურ შეხვედრაში.

შოთა ალბათ არც 6 თებერვალს ითამაშებს თურქეთთან ამხანაგურ მატჩში. მან გვითხრა, რომ:

„შესაძლოა, თურქეთთან მატჩისთვის თბილისში ჩამოვიდე, მაგრამ უფრო შესარჩევ ეტაპზე 24 მარტის შოტლანდიასთან თამაშზე ვფიქრობ — ამ მატჩისთვის ყველანაირად უნდა ვიყო მზად“.

**დავით თამართქილაძე**

# აუ, აუე!

## ერცგებირგემ გერმანიას ეს ჯერ ვერ ათქმევინა




ერცგებირგეს აუე-მ დავით სირაძის გოლით 1:0 მოუგო სტუმრად „კარლსრუეს“, რითაც მეტოქეს მეორე ბუნდესლიგაში ლიდერობა დააკარგვინა და თავად კი მეხუთედან მეოთხე ადგილზე აინაცვლა. შეიძლება ითქვას, სირაძემ აუე-ში თავისი ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა...

აუე-ს ქართველ თავდამსხმელს გუშინ ერცგებირგეში შევეხმიანეთ...

— რის ხარჯზე მოახერხეთ ასეთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვება?

— ჩვენმა მწვრთნელმა გერდ შედლიხმა ამ მატჩისთვის ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად მოგვამზადა. სხვათა გარდა იმასაც გვეუბნებოდა, ამ სეზონში „კარლსრუეს“ შინ ჯერ არ წაუგია და პირველად ჩვენთან უნდა დამარცხდესო. ერთი სიტყვით, მწვრთნელმა საბრძოლოდ განგვაწყო და ისიცაა, რომ აუე-ს ყველა ფეხბურთელი ახლა კარგ ფორმაში ვართ. „კარლსრუესთან“ დაცვიდან ვითამაშეთ, თუმც მეორე ნახევარში ღია, გახსნილი თამაში წავიდა და კონტრშეტევაზე მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო.

— გოლი როგორ გაიტანე?

— ფლანგზე ჯარიმა „ავიკიდე“, იქიდან ჩაწოდებულზე კი მეკარეს დავასწარი და თავით შევაგდე. კიდევ მქონდა ერთი კარგი მომენტი — შორიდან დავარტყი და ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

— მატჩის ბოლოს მეორე ყვითელი ბარათი მიიღე და გაგაძევეს...

— ანჟეი იუსკოვიაკთან კედელი გავითამაშე, სისწრაფე ავკრიფე და მეტოქის საჯარიმოში შევედი, იქ „კარლსრუს“ მცველი დამეჯახა და წავიქეცი — მსაჯმა ეს სიმულაციაში ჩამითვალა და მეორე ყვითელი ბარათი მაჩვენა. არადა, არანაირი სიმულაცია არ ყოფილა, პირიქით, მსაჯს პენალტის დანიშვნა შეეძლო. ვფიქრობ, ერთმატჩიან დისკვალიფიკაციაზე მეტს არ მომცემენ.

— „სარბიელთან“ წინა ინტერვიუში გვითხარი, აუე-ს მიზანი მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება არისო, ახლა კი მეოთხე ადგილზე ხართ — რა შეიცვალა ასეთ მოკლე დროში?

— აუე კიდევ უფრო შეკრული გუნდი გახდა.

— ბოლო ხუთი თამაში მოიგეთ — პირველ ბუნდესლიგაში ალზევებისთვის აუე მაინც ვერ იბრძოლებს?

— გერმანიაში აუე-ზე, როგორც პირველ ბუნდესლიგაში გადასვლის კანდიდატზე, ჯერ არ საუბრობენ. ამაზე ლაპარაკი ჯერ ალბათ ადრეა.

— ისე, აუე კლასით მკვეთრად ჩამორჩება ლიდერებს — ჰანზას“, „კარლსრუეს“ და „კაიზერსლაუტერნს“?

— ეს გუნდები სულ ყურადღების ცენტრში არიან და მათ ყველა უფრთხის, ჩვენ კი, შეიძლება ითქვას, საპირისპირო მდგომარეობაში ვართ. „კარლსრუემდე“ „პადერბორნს“ შინ 1:0 მოვუგეთ და ამ გუნდთან უფრო გაგვიჭირდა თამაში. სახელიან გუნდებთან უფრო გახსნილად ვთამაშობთ. აუე ცუდ ფეხბურთს ნამდვილად არ აჩვენებს, მაგრამ, უბრალოდ, აუე ჰქვია...

**დავით თამართქილაძე**

# გადაწყდა: ბათუმი ადელში დასახლდა

## თოთლაძის საქმე გზაშია

„ბათუმის“ „დინამოს“ სტადიონის ადგილზე სასტუმრო რომ შენდება, გეცოდინებათ. გუშინ კი „ბათუმის“ უფროსმა თამაზ ცინარიძემ გვითხრა, გადაწყვეტილია, ადელის სპორტულ კომპლექსთან მდებარე სტადიონზე ვითამაშებთ, სადაც მინდვრის საფარი ნორმალურია, უბრალოდ, სტადიონს სჭირდება ვიზუალურად შეკეთებაო.

„დაახლოებით 2500-3000-კაციანი ტრიბუნები უნდა გაკეთდეს, მოწესრიგდეს პრესლოჟა და გასახდელები, ეს ყველაფერი კი დროის ამბავია“.

თამაზ ცინარიძეს მეკარე ირაკლი თოთლაძის საქმეზეც შევეკითხეთ. როგორც იცით, იგი ორთვიან წინასწარ პატიმრობაშია, თუმცა გარკვეული ინსპექციები ჩართულნი არიან მის ვადამდე გასათავისუფლებლად.

ცინარიძის თქმით, თოთლაძის გათავისუფლება დროის ამბავია.

**ილია ნანობაშვილი**



# საუკეთესო ქართველმა მწვრთნელი შეიწირა
## მხოლოდა მუჯირი და...

**სამარის** „კრილია სოვეტოვის" ვებგვერდზე ქომაგებს სეზონის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინათ და ალბათ, იოლი გამოსაცნობია, ვინ იქნებოდა მათი რჩეული — რა თქმა უნდა, დავით მუჯირი.

იმის მიუხედავად, რომ „მუმუმ" ტრავმის გამო მხოლოდ ნახევარი სეზონი ჩაატარა, გულშემატკივრებში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამოკითხვაში 20 400-მა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა და მათგან 4 536-მა ქართველი ფეხბურთელი დაასახელა საუკეთესოდ.

სანამ ფანები საუკეთესო ფეხბურთელს ავლენდნენ, სამარულ კლუბს მწვრთნელი მოუხსნეს — გაჯიგაჯიევს მეათე ადგილი წარუმატებლობად ჩაეთვალა და... გაჯიევს, სავარაუდოდ, პერმის „ამკარის" ყოფილი მწვრთნელი სერგეი ობორინი შეცვლის.

„ხელმძღვანელობამ თავისი საქმე გააკეთა. შემადგენლობის საკითხი ჯერ კიდევ წინა სეზონში მოვაგვარეთ. რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდებოდით, თუმცა გუნდში მხოლოდ ვასილიევი და მუჯირი ავიყვანეთ. სწორედ ქართველი ნახევარმცველით მოვაგვარეთ ის პრობლემა, რომელსაც გაჯიევი და გუნდის კაპიტანი გუსინი უმთავრესად მიიჩნევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ გუნდს მხოლოდ პლეიმეიკერი სჭირდებოდა. ჩვენც ყველაფერი ვიღონეთ მუჯირის ჩამოსაყვანად. ამის მიუხედავად, მწვრთნელმა ვერ შესძლო ამოცანის შესრულება და იძულებული გავხდით, მასთან კონტრაქტი გაგვეწყვიტა" — განაცხადა „კრილია სოვეტოვის" სპორტულმა დირექტორმა ალექსანდრ ბარანოვსკიმ.

„რა ჩემი ბრალია, თუ გუსინმა და მუჯირმა ტრავმები მიიღეს. სეზონს რომ ვიწყებდით, ყველაზე მეტად მუჯირის მეიმედებოდა, თავადაც ნახეთ, როგორი ფეხბურთელია, მაგრამ ტრავმამ ნახევარი სეზონი გააცდენინა და იგი ვერ შევცვალეთ. მყოლოდა მუჯირი და შედეგს მაშინ ნახავდით" — ასეთია გაჯიევის პასუხი. •

და ერთიც: სავარაუდოდ, სამარულ კლუბს მოთამაშე-მწვრთნელი ომარ თეთრაძეც დატოვებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ტრეზეგე აღარ იყივლებსო

**საქართველოს** ნაკრების მეტოქე საფრანგეთი ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის გარეშე რჩება — დავიდ ტრეზეგე აღარ აპირებს რაიმონ დომენეკის გუნდში თამაშს.

ამის თაობაზე ტრეზეგეს კლუბის, ტურინის „იუვენტუსის" თავკაცმა დიდიე დეშანმა განაცხადა. მისი თქმით, ტრეზეგე ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა და დომენეკთან ურთიერთობა ვერც ამის შემდეგ გამოასწორა.

„იუვეს" ფრანგი თავდამსხმელი, ვინც თბილისში ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა, დღე-დღეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას აპირებს და ალბათ ნაკრებსაც ოფიციალურად გამოემშვიდობება.

**ბაჩა შალამბერიძე**



# გაისად მეტს ვითამაშებ
## ნუკრი რევიშვილი: უფრო გავიზარდე

ქართველების „რუბინმა" რუსული პრემიერლიგა მეხუთე ადგილზე დაასრულა, თუმცა ჩვენიანები ძირითადში ხშირად ვერ ხვდებოდნენ. ყველაზე მეტად ლაშა სალუქვაძე თამაშობდა, მეკარე ნუკრი რევიშვილსაც მოუგროვდა რამდენიმე მატჩი, რომელთა უმეტესობა მაღალ დონეზე ჩაატარა და ერთხელ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

19 წლის რევიშვილმა საქართველო — ურუგვაის ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა და ასაკისა და პოტენციალის გათვალისწინებით, კლაუს ტოპმიოლერი ეგებ სწორედ მასში ხედავდეს ნაკრების მთავარმეკარეს...



— „რუბინში" გატარებული სეზონით კმაყოფილი ხარ?

— დიახ. რუსეთში საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატია და „რუბინიც" ანგარიშგასაწევი ძალაა. ვფიქრობ, როგორც მეკარე, გავიზარდე.

— ყაზანელთა მთავარ მეკარედ ლატვიელი ალექსანდრ კოლინკო ითვლება, რომელიც შესაძლოა, გუნდიდან წავიდესო...

— კოლინკოს კონტრაქტი დაუმთავრდა და არ ვიცი, რას იზამს. მგონი, რაღაც შემოთავაზებები აქვს.

— როგორ ატყობ, შეიძლება, მომავალ სეზონში „რუბინის" პირველი მეკარე გახდე?

— თუ არ ვითამაშებ, პირველი მეკარე ვერ ვიქნები. იმას კი ვატყობ, რომ გაისად უფრო დიდხანს მომიწევს მოედანზე ყოფნა, ვიდრე წლეულს იყო.

— გიორგი ქინქლაძე „რუბინს" ტოვებს. ლაშა სალუქვაძე და მიხეილ აშვეთია რას აპირებენ?

— ქინქლაძე უკვე წავიდა გუნდიდან. აშვეთიას კონტრაქტი დაუმთავრდა, თუმცა, როგორც ვიცი, „რუბინში" დარჩენა სურს. სალუქვაძე კი რჩება, ისევე, როგორც მე.

— „რუბინი" ერთხანს პრემიერლიგას ლიდერობდა. რეალურად შეგიძლიათ, მოსკოვურ კლუბებს ჩემპიონობაში კონკურენცია გაუწიოთ?

— ეს ძალიან ძნელი იქნება, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

— მაგრამ იმასაც ამბობენ, „რუბინის" საუკეთესო ფეხბურთელი ალეხანდრო დომინგესი წასვლას აპირებსო...

— დომინგესს ძლიერი გუნდები იწვევენ და ვნახოთ. არც ისაა გამორიცხული, დარჩეს.

— ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებს დაუბრუნდი და თან ისე გამოვიდა, მეტოქეს კარში თითქმის არ დაურტყამს...

— მთავარია, კარი მშრალად შევინახე. ნაკრები ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ეროვნულში თამაში სულ სხვა სტიმულია და პასუხისმგებლობაა.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კალიარი 2:2 | 90 | | 7 | 1 | 15 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ნიურნბერგი 0:0 | 90 | | 12 | 3 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | პადერბორნი 1:1 | 86 | საგოლე პასი, შეცვალეს | 14 | 2 | 13 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | პადერბორნი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 13 |
| დავით სირაძე | აუე | ს | კარლსრუე 1:0 | 86 | 1 გოლი, გააძევეს | 13 | 2 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | უნტერჰახინგი 1:5 | 69 | შეცვალეს | 9 | 0 | 6 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | დარმშტადტი | შ | ზაარბრიუკენი 4:0 | 0 | | 9 | 0 | 16 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ფულემი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 0 | 14 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ექსელსიორი 5:0 | 67 | 2 გოლი, შეცვალეს | 13 | 9 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ბრედა 0:0 | 0 | | 1 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | ს | კარპატი 1:1 | 90 | | 14 | 4 | 4 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | კარპატი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 4 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | ს | პაოკ 1:1 | 0 | | 8 | 0 | 12 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ოფი 2:0 | 90 | | 10 | 0 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ვინ გადაყარა სიტყვები?
## აურზაური ბერგამოს გამო

**კალჩოპოლის** სკანდალი ისეთი რამ გახლდათ, მისი ექო იტალიურ ფეხბურთში ჯერ კიდევ კარგა ხანს გაისმება. აი, მაგალითად, ყოფილი მსაჯთა გამანაწილებელი პაოლო ბერგამო ამბობს, რომ წესით სკანდალს გაცილებით მეტი გუნდი უნდა შეწირვოდა, მათ რიცხვში „ინტერიც“.

„ვიღაცამ მხოლოდ ის სატელეფონო ჩანაწერები გამოამზეურა, რომლებიც საბოლოო მიზნის მისაღწევად გამოადგებოდა, დანარჩენები კი გადაყარა — თქვა ბერგამომ გაზეთ **QN**-სთან საუბარში — „ინტერი“ ის გუნდია, რომელიც სხვებზე გაცილებით მეტს ჩიოდა. ის ყველასა და ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებდა, ასახელებდა უამრავ მსაჯს, რომელთა ხილვა თავიანთ თამაშებზე არ უნდოდა, არასდროს მოსწონდა კენჭისყრა და კალენდარი, აშკარად ეშინოდა „იუვენტუსისა“ და „მილანის“.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალმა ამა წლის მაისში იფეთქა, როდესაც იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა სხვადასხვა მოღვაწეთა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. ამ საუბრებში ხსენებული მოღვაწეები თავიანთი გუნდებისთვის მსაჯების შერჩევას ცდილობდნენ. სასამართლო განხილვის შედეგად დაისაჯა რამდენიმე გუნდი, ყველაზე მეტად კი ქვეყნის ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებულ „იუვენტუსს“ მოხვდა, რომელიც სერია **B**-ში გააგდეს და ჩემპიონის ტიტულიც ჩამოართვეს. სწორედ ეს ტიტული გადასცეს „ინტერს“, რომელზეც ბერგამო ასე ამბობს:

„როგორ მოხდა, რომ ზოგი კლუბის წარმომადგენელთა სატელეფონო საუბრები არ გახმაურებულა? ვიმედოვნებ, რომ გამოძიება, რომელიც საფეხბურთო ჩარჩოებს სცილდება, უფრო ღრმად ჩაიხედავს საკითხში. მეეჭვება, რომ მხოლოდ მსაჯი მასიმო დე სანქტისი და მე უნდა გავჭყლეტილიყავით. ძალიან არ მინდა ამაზე საუბარი, რადგან მე და აწგარდაცვლილი „ინტერის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან ვმეგობრობდით, თუმცა ყველაზე ხშირად სწორედ ის მირეკავდა. სწორედ „ინტერი“ ჩიოდა ყველაზე მეტად, რაც, სხვათა შორის მესმოდა, რადგან გუნდი ვერა და ვერ იგებდა, რასაც, შეუძლებელია, მის ხელმძღვანელთა გაღიზიანება არ გამოეწვია. „რომასაც“ ბევრჯერ დაურეკავს. ისინიც ამა თუ იმ მსაჯის თავიდან აცილებას ითხოვდნენ.“

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ყველაზე მეტად „იუვენტუსი“ დაისაჯა. მისი გენერალური დირექტორის ლუჩანო მოჯის სატელეფონო საუბრები არათუ გაზეთებში დაბეჭდეს, ზოგიერთ რადიოარხზე ეთერშიც კი გაუშვეს. ბერგამო ამბობს:

„ლუჩანოსთან 30 წელი[illegible]ტი ხნის ნაცნობობა მ[illegible] სიამაყით მივიჩნევ მის მეგობრად. თუ იგი შეცდა, პასუხს თავად აგებს. არბიტრების სხვადასხვა თამაშზე განაწილებაზე რომ ვსაუბრობდით, ლუჩანომ მართლაც ახსენა რამდენიმე მსაჯის გვარი, მაგრამ მოჯი არავის არსად დანიშვნას არ წყვეტდა. ვინ სად იმსაჯებდა კენჭისყრით ირკვეოდა“.

შემდეგ კი ბერგამომ კალჩოპოლის სკანდალში ცუდად მოყოლილი სამი საქმოსნის, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი კომისიონერის გვიდო როსის, ჩეზარე რუპერტოსა და სავერიო ბორელის შესახებაც თქვა:

„ამ სამეულმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა. მთავარი შეცდომა ის გახლდათ, რომ მათ თავი შეყვეს სამყაროში, რომელსაც არ იცნობდნენ. ამ სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრობის, პირადი კავშირების და ურთიერთგაღიზიანების ფაქტორი, ოღონდ ისე, რომ ფეარ პლეის პრინციპები არ ირღვევა. ბორელის ყოველივე ამასთან დაკავშირებით სატელევიზიო დებატებს ვთხოვ“.

**პაპუნა ძიძია**



ლუჩანო მოჯი



პაოლო ბერგამო

# კამორანეზიმ ქურდებს ფულიანი ტომარა ურტყა



მაურო კამორანეზი



დიდიე დეშანი

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ისევ ვერ მოიგო, ამჯერად „ჯენოასთან“ სტუმრად დაძაბულ და საინტერესო მატჩში. მიუხედავად ამისა, „ბებერი ქალბატონი“ მეორე ადგილზე დარჩა და ლიდერ „ნაპოლისთან“ ისევ ქულა აშორებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშანიც კმაყოფილია, მაგრამ არა მსაჯობით. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა სტეფანო ფარინამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა.

მატჩი ძალიან სწრაფ ტემპში წარიმართა და კარგი სანახავიც გახლდათ. უპირატესობას უფრო მასპინძელი „ჯენოა“ ფლობდა, რომელსაც პირველ ტაიმში ძალიან საეჭვო ვითარებაში დანიშნული პენალტით დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ მარტინს ადაილტონს ჯანლუიჯი ბუფონმა აუღო. „იუვე“ პაველ ნედვედის საჯარიმო დარტყმის შედეგად დაწინაურდა, თუმცა გენუელებმა მალევე გაათანაბრეს — გოლი ისევ ტურინელთა დაცვის ცენტრის ჩავარდნას მოჰყვა. ბოლო წუთზე ნედვედი მინდვრიდან გააძევეს. არადა, ვიდეოჩანაწერში გამოჩნდა, რომ თამაშის წესს უფრო ჩეხის წინააღმდეგ არღვევდნენ, ვიდრე პირიქით.

„მსაჯის რამდენიმე მცდარმა გადაწყვეტილებამ კინაღამ მატჩი გააფუჭა, მაგრამ მაინც სასიამოვნო თამაში ვიხილეთ. წესით, გოლებიც მეტი უნდა გასულიყო. „ჯენოამ“ პრობლემები შეგვიქმნა და რიგ ეპიზოდებში გვჯობდა კიდეც. გენუელებს სერია **A**-ს შესაფერი გუნდი ჰყავთ და ეს დაამტკიცეს. სამწუხაროა, რომ გოლის გატანიდან რამდენიმე წუთშივე გაგვითანაბრეს. ბოლოს კი ნედვედი გააძევეს. მთლიანობაში ჩვენი ახლანდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. ეს ფეხბურთელების შრომის დამსახურებაა და თუ ასე გავაგრძელებთ, უმაღლეს ლიგას აუცილებლად დავუბრუნდებით“ — თქვა დეშანმა.

ტურინელებს კვლავ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ ალესანდრო დელ პიეროსა და დავიდ ტრეზეგეს თამადობით. შესაბამისად, თავდასხმაში რაფაელე პალადინოსა და ვალერი ბოჟინოვის ახალგაზრდა წყვილი იყო გამწესებული. პალადინომ ისევ ნორმალურად ითამაშა, აი, „ლეჩესთან“ მატჩის გმირად ქცეული ბოჟინოვი კი პასიურობდა და გააკრიტიკეს კიდეც.

დიდიე დეშანი: „ჯენოას“ კარგი დაცვა ჰყავს, მაგრამ ბიჭებმა და მათ შორის ბოჟინოვმაც საქმე თავისით გაირთულეს. იგი მეტოქის კართან მიახლოვებას ხშირად გარღვევებით ცდილობდა, პასის მიცემა კი ავიწყდებოდა. ვალერიმ ბევრი უნდა ისწავლოს, ივარჯიშოს და ფანტაზიით ითამაშოს, მას ამის შესაძლებლობა აქვს“.

„მესმის, რომ წარსულში ჩადენილი დანაშაულებისთვის უნდა დავსჯილიყავით და, მგონი, ეს უკვე მოხდა. თუმცა თუ ვინმე მატჩებში ჩვენს საწინააღმდეგოდ მიღებული აბსურდული გადაწყვეტილებებით ცდილობს კიდევ დაგვსაჯოს, ეს სისულელეა. სამწუხაროდ, ფარინამ ძალიან ცუდად იმსაჯა“ — თქვა ბუფონმა.

გენუელ ფანებს „იუვენტუსი“, რბილად რომ ვთქვათ, არ უყვართ და ზოგიერთმა მათგანმა ასეთი ტრანსპარანტები გამოფინა: „იტალიელი ხალხის სახელით დამნაშავედ გაცხადებთ, ქურდებო“. რამდენჯერმე სტადიონის დიდი ნაწილი სკანდირებდა კიდეც: „ქურდებო, ქურდებო!“

ამ ფანებს მატჩის შემდეგ პასუხი „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა მაურო კამორანეზიმ გასცა: „ღიმილს იწვევს ის ფაქტი, რომ ქურდებს იმ კლუბის ფანები გვეძახიან, რომელმაც სეზონის ბოლო ტურში სერია **A**-ს საგზური ფულის დიდი ტომრით იყიდა“.

შეგახსენებთ, რომ შარშანწინ „ჯენოამ“ სერია **A**-ს საგზური კი მოიპოვა, მაგრამ „ვენეციასთან“ ბოლო მატჩის ჩაწყობაში ამხილეს და სერია **C1**-ში დააქვეითეს.

**გიორგი ძაძამიძე**



# ვენგერის ხმალი და ჩემი კისერი

**ტიერი ანრის** კისრის ტრავმა აქვს და ჩრდილოლონდონურ დერბიში არც უთამაშია. ის და არსენ ვენგერი ამ კვირაში დასხდებიან და გადაწყვეტენ, ითამაშებს თუ არა „მეთოფეთა“ ლიდერი ამ უქმეებზე „ჩელსის“ წინააღმდეგ. ანრის პარასკევიდან ვარჯიშები გაუცდენია, მაინც ტრავმა მაქვსო. თუმცა, ფეხბურთელმა უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს, ამ გაცდენებმა ვენგერის რისხვა გამოიწვია.

ანრი დისკვალიფიკაციის გამო ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის თამაშზეც არ იქნება „პორტუს“ წინააღმდეგ. ანრი კი უარყოფს, მაგრამ ვენგერმა მოკლედ თქვა: „თუ რამე მოხდა ჩვენი შინაური საქმეა. მე და ტიერის კარგი ურთიერთობა გვაქვს და ასეთივე გვექნება. ხოლო „ჩელსისთან“ მისი თამაშის საკითხი ჯერ გარკვეული არ არის. ექიმებსაც უნდა ველაპარაკოთ“.

ვენგერმა ისიც თქვა, რომ იანვრის ფანჯარაში არავის ყიდვას არ აპირებს. ესეც გარკვეულწილად ეხმიანება ანრის განცხადებას, კარგი იქნებოდა, ვინმე გვეყიდა, ვთქვათ, შონ რაიტ-ფილიპსიო.

მოკლედ, ვნახოთ როგორ გაივლის ამ მნიშვნელოვან კვირას „არსენალი“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# შევა და კაჭკაჭი

**ინგლისურმა** „ნიუკასლმა“ ურაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ეგებ სეზონის ბოლომდე ინათხოვროს. ეს იდეა „კაჭკაჭების“ ხელმძღვანელობას მას მერე გაუჩნდა, რაც ჭორები გავრცელდა, „ჩელსი“ შევას განათხოვრებას აპირებსო. ლაპარაკია 30 წლის ფორვარდის ზაფხულამდე „მილანში“ დაბრუნებაზეც.

გასულ ზაფხულს 30 მილიონ გირვანქად ნაყიდი შევჩენკო ინგლისურ ფეხბურთს ჯერ ვერ შეეგუა და „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაშიც ადგილის დამკვიდრება უჭირს. ლონდონელთა მაისურით აქამდე მან მხოლოდ სამი გოლის გატანა შეძლო. „ნიუკასლს“ კი თავდასხმაში პრობლემები აქვს. მაიკლ ოუენი და შოლა ამეობი სერიოზული ტრავმების გამო საკმაო ხანს ვერ ითამაშებენ. ბოლომდე ჯანმრთელნი არც ალბერტ ლუკე და ობაფემი მარტინსი არიან.

ბრიტანულ პრესაში „კაჭკაჭთა“ მავანი წარმომადგენლის კომენტარი გავრცელდა: „ნიუკასლი“ შევჩენკოს სიამოვნებით დაიმატებს, თუ „ჩელსის“ მართლაც სურს მისი განათხოვრება. ამით ორივე მხარე ისარგებლებს, ჩვენ თავდასხმაში არსებულ ვაკუუმს შევავსებთ, ხოლო ანდრეი პრემიერლიგას რეგულარული თამაშით უფრო შეეჩვევა“.

**კოკი ძანდელაძი**

# საკმარისზე მეტი კარლოსურები

**მადრიდის „რეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბასკებთან ძნელ ბრძოლაში რობერტო კარლოსის გოლით გაიმარჯვა. სამეფო თეთრების ვეტერანმა „ბილბაოსთან“ მატჩის მიწურულს ჩვეულად გაისროლა და „ბერნაბეუს“ ტაბლოზე საბოლოო ანგარიში 2:1 დააფიქსირა. შეხვედრის შემდეგ კარლოსს „ასი“ გაესაუბრა**



— „რეალისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანეთ. საერთოდ კი რაც სამეფო გუნდში თამაშობთ, თქვენს ანგარიშზე 67 ოფიციალური გოლია...

— დიახ, მცველის პირობაზე მართლა საკმარისზე მეტი გოლი მომიგროვდა. როცა გოლები გამაქვს, თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობ. მით უმეტეს, მაშინ, როცა ამით გუნდს გამარჯვების მიღწევაში ვეხმარები, ისევე როგორც ეს „ბილბაოსთან“ მოხდა.

— გამარჯვება ძალიან გაგიჭირდათ...

— ბასკებმა კარგი მატჩი ჩაატარეს და შეხვედრაც თავიდან მათი უპირატესობით წარიმართა. ანგარიშიც „ბილბაომ“ გახსნა, რამაც პრობლემები შეგვიქმნა. საბედნიეროდ, ორი გოლი გავიტანეთ და სირთულე დავძლიეთ.

— გოლი ემოციურად აღნიშნეთ...

— დიახ, რადგანაც ვიცოდით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცხრილში დავწინაურდებოდით, მეცამეტე ტურში ხომ დანარჩენმა ლიდერებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. წარმოიდგინეთ, როცა საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე გადამწყვეტი გოლი გაგაქვს, რომელსაც „რეალისთვის“ საჭირო სამი ქულა მოაქვს. რასაკვირველია, ემოციებს ვერ დამალავ.

— „ბერნაბეუზე“ პირველი წუთების განმავლობაში „რეალი“ მეტოქეს სჯობდა, თუმცა შემდეგ მოეშვით და შესვენებამდე უპირატესობას ბასკები ფლობდნენ. მეორე ტაიმში კი პრობლემები ნაკლებად გქონდათ. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— თავიდან ყველაფერი კარგად დავიწყეთ, პირველ წუთებში რამდენიმე საგოლე ეპიზოდი შევქმენით, თუმცა როცა მეტოქემ გაგვიტანა, რამდენიმე წუთით გონს მოსვლა ვერ შევძელით. მეორე ტაიმში რონის გოლმა ყველაფერი შეცვალა. დავრწმუნდით, რომ მოგება შეგვეძლო და ამას მივაღწიეთ კიდეც.

— რონალდომ „რეალის“ მოგებაში ლომი წვლილი შეიტანა...

— რონალდო მოედანზე ბრძოლამოწყურებული შემოვიდა და თავისი საქმე ჩინებულად შეასრულა. მიხარია რონის გოლები, თქვენ არ იცით, მისთვის ეს რამხელა ბედნიერებაა. რონალდოს ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად მივიჩნევ.

— ახლა „ბარსელონას“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებით...

— უკვე მეორე ადგილზე ვართ, თუმცა მთავარი ბრძოლები ჯერ წინ გველოდება. უნდა ვეცადოთ, რომ დარჩენილი ყველა შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს.

# კლემენტესთვის ბელგრადი ბილბაოა



**ხავიერ კლემენტე** დარწმუნებულია, რომ მისი სერბეთის ნაკრები ევრო 2008-ზე ითამაშებს და ბალკანურ გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივებასაც არ გამორიცხავს. ბასკი მწვრთნელის თქმით, იგი ბელგრადში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

„კონტრაქტის განახლებას არ გამოვრიცხავ, რადგანაც ბელგრადში თავს იდეალურად ვგრძნობ და ამ იდილიის დარღვევა არ მსურს. ჩემთვის ახლა ბელგრადი თითქმის იგივეა, რაც ბილბაო. ხშირად ვფიქრობ, რომ სერბეთში კი არა, ბასკეთში, საკუთარ სახლში ვცხოვრობ“ — უთხრა კლემენტემ ჟურნალისტებს და ისიც დაუმატა, რომ ნაკრებთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მარტო მასზე კი არა, სერბეთის ფეხბურთის ფედერაციაზეცაა დამოკიდებული.

ხავიერ კლემენტეს ხელმძღვანელობით სერბეთის ეროვნულმა გუნდმა ევრო 2008-ის შესარჩევის პირველ ოთხ თამაშში 10 ქულა მოიპოვა.

ჟურნალისტები ბასკს, რა თქმა უნდა, შეეკითხნენ, ევროპის ჩემპიონატზე ბალკანელთა გასვლის სჯერა თუ არა. „ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ“ — უყოყმანოდ მიუგო ბილბაოდან აღმოსავლეთ ევროპაში გადახვეწილმა კაცმა.

მწვრთნელმა ევრო 2008-ზე სერბეთის შანსების შეფასებისგან თავი შეიკავა. „ფეხბურთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ევროპის ჩემპიონატზე გასული გუნდების უმრავლესობა კი ერთნაირად ძლიერი სათამაშო დონით გამოირჩევა. ამიტომაც ტურნირზე სერბეთის შანსების პროგნოზირებისგან თავს შევიკავებ“ — განაცხადა ხავიერ კლემენტემ.

გარდა ამისა, ბასკმა მედიასთან საუბარში ისიც აღნიშნა, თუ ესპანეთთან მატჩის ჩატარება მოგვიწევს, ეს ამბავი დიდად ვერ გამახარებსო: „თუ ასეთი მატჩი შედგა, გაზეთები უმალ კლემენტე (და არა სერბეთი) ესპანეთის წინააღმდეგო, დაწერენ. ძალიან კარგი იქნება, თუ შეხვედრის შესახებ ჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნება, მაგრამ მე პრესას კარგად ვიცნობ და ვიცი, რა აჟიოტაჟიც ატყდება. ამიტომაც არ მინდა ესპანეთის წინააღმდეგ თამაში. თუ სერბეთი გაიმარჯვებს, ამას კლემენტეს ესპანეთზე გამარჯვებად ჩათვლიან და არა სერბეთის ეროვნული გუნდის წარმატებად. მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რომ ევრო 2008-ზე თუ სხვა ტურნირებზე წარმატების მთავარი სულისჩამდგმელი სერბეთის ნაკრები, სერბული ფეხბურთი იქნება და არა კლემენტე. მე უბრალო პროფესიონალი ვარ, რომელიც ამ გუნდის დიდებისთვის მუშაობს“.

კლემენტეს სერბეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. შეთანხმებას ვადა 2008 წელს გასდის.

**ლადო ხომერიკი**

# სევილია გაქოჩდა

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (**IFFHS**) ახალი რეიტინგით, ესპანური „სევილია“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. ფედერაციამ ნოემბერში ანდალუზიელთა უეფას თასზე და პრიმერადივიზიონში გამარჯვებები შეაჯამა და ამ დასკვნამდე მივიდა. სავსებით შესაძლებელია, **IFFHS**-მა „სევილია“ მსოფლიოს 2006 წლის საუკეთესო კლუბადაც აღიაროს.

ფედერაციის დასკვნით, ნოემბრის მეორე ნახევრამდე მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა ათეულს იტალიური „ინტერი“ თაოსნობდა, რომელიც სადღეისოდ ოდენ მეოთხეა. კატალონიური „ბარსელონა“ მეორე იყო, ახლა კი მეშვიდე ადგილზე ჩამოუქვეითებიათ. „ბარსას“ მეორე ადგილი კი „მილანს“ ერგო. დაწინაურდა „რომაც“, რომელმაც მერვედან მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა.

2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბს ფედერაცია 8 იანვარს ავსტრიულ ზალცბურგში დააჯილდოვებს.

**IFFHS**-ს საპრიზო ასეულში 31 ქვეყნის კლუბები შედიან. აქედან 70 უეფას მიეკუთვნება, 23 კონმებოლს, 3 კონკაკაფს და 4 აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას. ასეულში ავსტრალიის და აზიის ფედერაციის წარმომადგენლები არ არიან. ინგლისურ პრემიერლიგას და ესპანურ პრიმერადივიზიონს 9-9 წარმომადგენელი ჰყავთ, ბრაზილიიდან ასეულში 8 კლუბია, საფრანგეთიდან — 7, იტალიიდან, არგენტინიდან და გერმანიიდან — 6, ჰოლანდიიდან კი — 4.

1. *სევილია (ესპანეთი)*
2. *მილანი (იტალია)*
3. *რომა (იტალია)*
4. *ინტერი (იტალია)*
5. *ლივერპული (ინგლისი)*
6. *რაპიდი (რუმინეთი)*
7. *ბარსელონა (ესპანეთი).*
8. *სან პაულუ (ბრაზილია)*
9. *ლიონი (საფრანგეთი)*
10. *არსენალი (ინგლისი)*



„სევილიას“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი




**ჰოლანდიური** „აიაქსის“ დანიელი თავდამსხმელი კენეტ პერესი მსაჯის რასისტულად შეურაცხყოფისათვის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მან „ტვენტესთან“ მატჩში გვერდით მსაჯ ნიკი სიებერტს „შავი კიბო“ უწოდა. პერესმა მოგვიანებით მოიბოდიშა, მაგრამ ამან ვერ უშველა. დანიელ ფეხბურთელს 12 500 ევროს გადახდაც დააკისრეს.

**რუსული** „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელად სერგეი ობორინი დანიშნეს, რომელმაც გაჯი გაჯიევი შეცვალა. „გაჯიევის მოხსნის მთავარი მიზეზია ცუდი შედეგები — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ალექსანდრ ბარანოვსკიმ — ყველა პირობა შევქმენით საიმისოდ, რომ გუნდი სულ მცირე, მერვე ადგილზე გასულიყო, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ. გაჯი გაჯიევი კი საჯაროდ აცხადებდა, რომ კლუბს ფინანსურად უჭირსო, რაც „კრილიას“ იმიჯზე ცუდად მოქმედებდა“.

**ინგლისური** „ფულემის“ ძირითადი მეკარე ანტი ნიემი „ბლექბერნთან“ მატჩში დაშავდა და კარგა ხანს ვერ დაეხმარება გუნდს. ექიმების ვარაუდით, ფინელ გოლკიპერს დაახლოებით ერთი თვე მოუწევს მკურნალობა. მის ნაცვლად კარში იან ლაშტუვკა ჩადგება.

**იაპონური** „ურავა რედზის“ გერმანელი მწვრთნელი გვიდო ბუხვალდი სეზონის ბოლოს სამუშაოს დატოვებს და გერმანიაში დაბრუნდება. მსოფლიოს ჩემპიონმა (1990), 45 წლის ბუხვალდმა სამი წელი იმუშავა „ურავა რედზში“ და ისტორიაში პირველად გუნდი ამ სეზონში ჩემპიონი გახადა. კლუბს გერმანელთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურდა, მაგრამ ვერ დაიყაბულა. შეგახსენებთ, რომ ბუხვალდი 1994-1997 წლებში „ურავა რედზში“ თამაშობდა.

**გერმანულ** „აინტრახტს“ უეფას თასზე „ნიუკასლთან“ ფრე ძვირი დაუჯდა — ფრანკფურტელთა თავდამსხმელი იოანის ამანატიდისი დაშავდა და წლის ბოლომდე ვეღარ დაეხმარება გუნდს. იგი 78-ე წუთზე გაიყვანეს მოედნიდან, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი.

**ესპანური** „ბარსელონას“ ბრაზილიელმა მცველმა სილვინიომ კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. „ვფიქრობ, რომ კარგი გარჯისთვის დამაჯილდოვეს — თქვა გახარებულმა ფეხბურთელმა — აქ ყოფნით ბედნიერი ვარ, რადგან თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში“. სილვინიოს გარდა კონტრაქტი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმაც გააგრძელა.

# ბორიელო არ დაბორიალობს



**„მილანის“** ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ მის გუნდს მიზანი არ შეუცვლია და კვლავ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძვის.

შეგახსენებთ, რომ შავ-წითლებს ცუდი პერიოდი უდგათ, ცხრა ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული და სარდინიაში „კალიარისთან“ 2:2 სწორედ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თამაშის ბოლოს მილანელებს მოედნიდან ანდრეა პირლოც გაუძევეს. მიზეზი: ის ზურგიდან ეუხეშა მოწინააღმდეგეს.

„ამ სეზონში, ვინც კი განაცხადში გვყავს, თითქმის ყველა გამოვიყენეთ. ერთადერთი ვალერიო ფიორი არ გასულა მოედანზე — განმარტა გალიანიმ — ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ცხრა მოთამაშე დაშავებული გვყავს, რამაც, ვფიქრობ, ჩვენი თამაშის ხარისხსა და შედეგებს დაღი დაასვა. ჩახედეთ ცხრილს, ამჟამად მეოთხე ადგილს 8 ქულა გვაშორებს და ამიტომ მიზნად სწორად ოთხეულში შესვლას ვგეგმავთ. ზაფხულზე გადატანილი დრამის მიუხედავად 20 ქულის მოპოვება მაინც შევძელით და ამიტომ, მწამს, მეოთხეობასაც შევძლებთ. ჩემპიონთა ლიგასა და კოპა იტალიაზე კარგმა თამაშმა ფსიქოლოგიურად გაგვაძლიერა, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. „მილანმა“ ლიგის შემდგომ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება რომ ვერ მიიღოს, წარმოუდგენელი იქნება“.

შემდეგ, გალიანიმ ილაპარაკა მარკო ბორიელოზე, რომელმაც კვირას „კალიარის“ კარში გოლი გაიტანა.

„ბოლო ტურში ყველაზე პოზიტიური ბორიელოს კარგი თამაში გახლდათ. ის მოედანზე შევიდა და თამაში შეცვალა. რაც შეეხება ჟელკო კალაჩს, იგი კარგი მეკარეა, თუმცა საუკეთესო ფირმაში შესვლისთვის რეგულარულად თამაში სჭირდება. ჩვენ მისი შესაძლებლობები ვიცით და ეს რომ მართლა ასეა, კალაჩმა კალიარიში მოედანზე დაამტკიცა. დიდას დაბრუნებამდე „მილანის“ კარს სწორედ ის დაიცავს“.

და ბოლოს, გალიანიმ კაკაზე თქვა ორიოდ სიტყვა.

„მისი მარჯვენა ფეხის ტკივილი სერიოზულ ტრავმასთან არ არის დაკავშირებული. ის ოთხშაბათს „ლილთან“ ითამაშებს, თუმცა ისევ იმას მინდა დავუბრუნდე რითაც დავიწყე — 20 წლის მანძილზე ერთდროულად ამდენი დაშავებული ნამდვილად არ მინახავს“.

**პაპუნა ძედია**

# არაბები ენფილდს მიადგნენ



დევიდ მურსი

**მალე,** შესაძლოა, „ლივერპული“ გაიყიდოს.

კლუბის თავმჯდომარემ დევიდ მურსმა და შეფმა რიკ პერიმ „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალის“ ჯგუფს უფლება მისცა, რომ კლუბის ყველა ფინანსური წიგნი და მდგომარეობა შეისწავლოს.

ჯგუფი მაქთუმთა უმდიდრეს ოჯახს ეკუთვნის, „ლივერპულს“ სავარაუდო ფასი კი 450 მილიონი გირვანქაა.

ყიდვის მსურველები სხვებიც არიან. ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ ჯილეტ უმცროსი და ბელფასტელი მაგნატი ჯონ მიკსელი, მაგრამ „ლივერპულმა“ არაბები აირჩია.

თავის მხრივ, მურსების ოჯახი „ლივერპულში“ 1950-იანი წლებიდან ტრიალებს, დევიდ მურსი კი უკვე 15 წელიწადია თავმჯდომარეა.

ოფიციალურად დუბაელებთან ურთიერთობის შესახებ არაფერი თქმულა, მხოლოდ არაბთა შეფმა სამირ ალ ანსარიმ თქვა, რომ ის „ლივერპულის“ ფანია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბასკის ადგილი ბასკეთშია



**ვეტერანი** ესპანელი ნახევარმცველი გაისკა მენდიეტა იანვარში „მიდლსბროს“ დატოვებს, ეს ფაქტობრივად გადაწყვეტილია. „ბოროს“ თავკაც გარეთ საუთგეიტს კლუბის გადაწყობა სურს და რამდენიმე მაღალხელფასიანი ვეტერანის გასხვისებას აპირებს, ზოგიერთს კი ჯამაგირს შეუმცირებს.

32 წლის ბასკმა ამ სეზონში „მიდლსბროს“ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამი მატჩი ითამაშა და სამივეში შეცვალეს. „ვალენსიას“ ყოფილი ვარსკლავი უკვე ეძებს ახალ გუნდს და პირველი მსურველიც გამოჩნდა — მენდიეტას მშობლიური ქალაქის კლუბი „ბილბაო“.

„ამ ასაკში მენდის რეგულარულად თამაში უნდა, რის გარანტიასაც მე ვერ ვაძლევ. თანაც გუნდის გადახალისება იგეგმება. მჯერა, გაისკას არაერთი მსურველი გამოუჩნდა“ — თქვა საუთგეიტმა.

მენდიეტას აგენტი ალბერტო ტოლდრა: „რამდენიმე წინადადება უკვე გვაქვს, „ბოროც“ საქმის კურშია. გაისკა ალბათ სამშობლოში დაბრუნდება. მას უნდა, ფეხბურთი რეგულარულად ითამაშოს, რისი შანსიც პრემიერლიგაში არ ეძლევა“.

**კოკი კანდელაკი**

# მსაჯი ჭორია!

**„რომას“** კაპიტანმა და მთავარმა ვარსკვლავმა ფრანჩესკო ტოტიმ უარჰყო ხმები, თითქოს მის გუნდს მსაჯები საგანგებოდ სწყალობენ.

„რომასა“ და მსაჯების თემა განსაკუთრებით კვირას, „ატალანტას“ 2:1 დამარცხების შემდეგ წამოიწია. როგორც იცით, ამ დღეს მსაჯმა ობერდან პანტანამ „ჯალოროსის“ სასარგებლოდ ორი პენალტი დანიშნა.

„რომა“ მსაჯების ფავორიტი არასდროს ყოფილა — კატეგორიულად განაცხადა ტოტიმ — ჭორებს იმიტომ გვიყრიან, რომ წარმატებით ვთამაშობთ და ეს ამბავი კონკურენტებს აღიზიანებთ. მე თუ მკითხავთ, მსაჯები ამ სეზონში კარგად მუშაობენ, ხოლო რაც შეეხება ჩივილს, ეს უადვილესი საქმეა“.

შემდეგ ტოტიმ განაცხადა, რომ „ატალანტასთან“ მოპოვებული სამი ქულა მეტად მნიშვნელოვანი იყო.

„ეს სამი ქულა საბედისწერო გახლდათ. ამ შეხვედრაში აუცილებლად უნდა მიგვეღწია წარმატებისთვის. რაც შეეხება იმას, რომ მე „მესინას“ თავდამსხმელ კრისტიან რიგანოსთან ერთად ცხრა გოლით ბომბარდირთა ლიდერი ვარ, მოგახსენებთ, რომ ბომბარდირობას ნაჩვევი არ გახლავართ, მაგრამ იმ პოზიციაზე მათამაშებენ, რომ სეზონი შესაძლოა, მართლაც საუკეთესო მეგოლედ დავამთავრო. მეორე მხრივ, ასეა თუ ისე, ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი „რომას“ წარმატებაა.“

**პაპუნა ძედია**



# სირბილი თებერვლიდან



**მუხლნატკენი** მაიკლ ოუენი მომჯობინების გზას ადგას და ფიქრობს, რომ უკვე ამ სეზონში დაუბრუნდება „ნიუკასლის“ ძირითადს.

„სკანირებებს გავივლი. ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ საქმე კარგად წავიდა, თებერვლიდან სირბილს დავიწყებ“ — თქვა მაიკლმა.

2005 წლის აგვისტოდან ოუენმა მხოლოდ 10-ჯერ ითამაშა ითამაშა „ნიუკასლში“ და გუნდს ტრავმათა გრძელი და მძიმე რიგის გამო, ვერაფრით დაეხმარა.

„14 დეკემბერს 27 წლისა ვხდები და ვფიქრობ, რომ ჩემი კარიერის შუაწელზე ვარ. მგონია, რომ წინ ბევრი კარგი მაქვს“. — იმედოვნებს ფეხბურთელი.

**ირაკლი გამყრელიძე**

## შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. XVI ტური**

იუვენტუსი — ვილი 2:2; ვოლენი — ვინტერთური 2:1; ივერდონი — ლოკარნო 1:1; ლუგანო — კიასო 1:3; ბოლმი — ქსამაქსი 0:0; ბელინცონა — სერვეტი 1:1; კრინსი — კონკორდია 2:1; შო დე ფონი — ლოზანა 2:3; ვადუცი — დელემონი 2:0

## ბრაზილია

**სერია A. XXXVIII ტური**

ფლამენგო — სან კაეტანო 4:1; ინტერნასიონალი — გოიასი 1:4; კორინთიანსი — ჟუვენტუდე 5:3; კრუზეირო — ბოტაფოგო 3:1; ფიგეირენსე — ვასკუ და გამა 0:0; ფლუმინენსე — პალმეირასი 1:1; პარანა — სან პაულუ 0:0; პონტე პრეტა — ატლ. პარანენსე 1:1; ფორტალეზა — გრემიო 1:0; სანტოსი — სანტა კრუზი 3:1

## მექსიკა

**აპერტურა. პლეი ოფი**

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

ტოლუკა 1:0 პაჩუკა (1:1)

ამერიკა 0:0 გვადალახარა (0:2)

## ავსტრია

**I დივიზიონი. XX ტური**

აუსტრია (ლ) — შვანენშტადტი 4:1; აუსტრია (მ) — ადმირა 2:2; ჰარტბერგი — კერნტენი 0:3; ლინცერი — ლუსტენაუ 2:4; ლეობენი — კაპფენბერგი 3:3; პარნდორფი — გრატკორნი 0:1

## არგენტინა

**აპერტურა. XVIII ტური**

ლანუსი — ველესი 2:0; კილმესი — ინდეპენდიენტე 1:3; არსენალი — სან ლორენსო 2:2; ოლდ ბოისი — გოდოი კრუზი 2:2; კოლონი — ბანფილდი 3:0; რასინგი — ხიმნასია (ლ) 3:1; რივერ პლეიტი — ნუევა ჩიკაგო 1:2; ხიმნასია (ხ) — როსარიო 1:0; არგ. ხუნიორსი — ესტუდიანტესი 2:2; ბელგრანო — ბოკა ხუნიორსი 1:0

## ჩილე

**პრიმერადივიზიონი. პლეი ოფი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

ო ჰიგინსი — კოკიმბო 2:1; პუერტო მონტი — კოლო კოლო 0:1; კობრელოა — უნივერსიდად დე ჩილე 3:1; უნივერსიდად კატოლიკა — აუდაქს იტალიანო 0:3

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

# ვერდერი იუვენტუსი გახდება?



**ბარსელონა — ვერდერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მარკესი (ან ტურამი), ვან ბრონკჰორსტი, დეკუ, ედმილსონი, ინიესტა, ჟიული, რონალდინიო, გუდიონსენი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**ვერდერი:** ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ბომე, ბოროვსკი, ფრინგსი, იენსენი, დიეგო, კლოზე, უგო ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შააფი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**ორი წლის წინ** ბრემენის „ვერდერმა" ჩემპიონთა ლიგიდან კლაუდიო რანიერის „ვალენსია" დაითხოვა. „ლამურებს" მაშინ ზუსტად იგივე მიზანი ჰქონდათ, რაც დღეს „ბარსამ" უნდა შეასრულოს — მოგების შემთხვევაში ლიგის შემდგომ ეტაპზე „ვალენსია" გადიოდა, ხოლო ფრე ან „ლამურათა" მარცხი გერმანელებს აძლევდა ხელს. „მესტალიაზე" ამ თამაშს დიდი იმედით ელოდებოდნენ, მაგრამ „ვალენსიამ" 0:2 წააგო და ტურნირს გამოეთიშა. „ძალიან ღია თამაში იყო. ჩვენ რამდენიმე საგოლე ეპიზოდი შევქმენით, თუმცა ერთიც ვერ გამოვიყენეთ. გერმანელებმა კი მატჩის ბოლო წუთებზე შეგვიტიეს და ორი გოლი გაგვიტანეს... დარწმუნებული ვარ, „ვერდერი" 5 დეკემბერს „ბარსასთანაც" წმინდა იტალიურ სტილში ითამაშებს — თომას შააფის ფეხბურთელები კატალონიელთა შეცდომის მოლოდინში საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტებიან, რათა საჭირო დროს მოულოდნელი კონტრშეტევები განახორციელონ. ისე, ვფიქრობ, ლიგის მერვედფინალში მაინც „ბარსელონა" გავა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ტურნირი ხიბლს დაკარგავს" — განაცხადა ესპანურ „მარკასთან" კლაუდიო რანიერიმ. „ვალენსიას" ჯალათი ბრემენელებისგან კი გუნდში 7 ფეხბურთელი და მწვრთნელი შააფი არიან დარჩენილნი.

დღეს „კამპ ნოუს" არენას ასი ათასი კატალონიელი ინჩასი შეავსებს. „ჩელსისთან" ამასწინდელი ჯახისას სტადიონზე 90 199 მაყურებელი მივიდა, პრიმერაში „სევილიასთან" თამაშს 91 220 დაესწრო, სამშაბათს კი მოედანზე გასულ „ვერდერს" პირთამდე შევსებულ-გადაჭედილი მტრული არენიდან წამოსული ღრიალის ატანა მოუწევს. რახან რიცხვები ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ „ბარსელონას" ევროტურნირებზე შინ ზედიზედ 16 შეხვედრაში არ წაუგია. თუ დღეს „რაიკარდის" ბიჭებმა ფრე ითამაშეს, კატალონიური გრანდის ისტორიაში ევროპაში დაუმარცხებლად სვლის რეკორდს გაიმეორებენ. თუმცა „ბარსას" ფრე ხელს არ აძლევს, მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდება. მივყვეთ სტატისტიკას და ისიც აღვნიშნოთ, რომ დღეს სრული 1324 დღე შესრულდა, რაც „ბარსელონა" ევროტურნირებზე „კამპ ნოუზე" ჩატარებულ თამაშებში წაუგებლად რჩება. ბოლოს, 2003-ში კატალონიელთა „კამპ ნოუზე" დამარცხება ლიგის მატჩში ტურინის „იუვენტუსმა" შეძლო.

„ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონატის მეცამეტე ტურში „ლევანტესთან" ოდენ 1:1 ითამაშა, ოღონდ ხსენებულ შეხვედრაში კატალონიელთა ლიდერ რონალდინიოს არ უბურთავია. ჯადოსანი კიჭა დღეს „ვერდერთან" აუცილებლად იქნება და გუნდს მერვედფინალის საგზურისთვის ბრძოლას გაუადვილებს. „მუსიკოსებთან" რაფაელ მარკესიც იომებს — ტრავმის გამო მასპინძელთა მექსიკელი მცველის ბურთაობა საეჭვო გახლდათ, თუმცა ბოლო მომენტში ექიმებმა გამოაცხადეს, რომ რაფას მუხლი აღარ აწუხებს და თამაში შეეძლება.

სტუმრებს შეიძლება გუნდის კაპიტანი ფრანკ ბაუმანი გამოაკლდეთ. ტრავმირებულ ნახევარმცველს 7 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია და მოედანზე გამოსვლის სავარაუდოდ ვერც დღეს მოახერხებს. ბაუმანს ან კრისტიან შულცი შეცვლის, ან დანიელ იენსენი და ან იურიცა ვრანიეში.

სტუმართა განწყობა საბრძოლოა. „ისტორიული მატჩი ახლოვდება. საამსეზონო ლიგაში რთულ ჯგუფში მოვხვდით და თავიდან მარტო უეფას თასზე ვფიქრობდით, თუმცა ახლა სიტუაცია სულ სხვანაირია და ლიგის მერვედფინალში გასასვლელად თავს არ დავზოგავთ. „კამპ ნოუს" გაძეძგილი ტრიბუნები ძნელი ასატანი იქნება, მაგრამ ჩვენი მისია კატალონიელებზე უფრო ადვილი გასახორციელებელია" — თქვა გერმანული გუნდის მენეჯერმა კლაუს ალოფსმა.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ რაც ჩემპიონთა ლიგა არსებობს, წინა სეზონში გათამაშების ჩემპიონი მომდევნო ჯგუფური ეტაპიდან არ გავარდნილა. თუ „ვერდერმა" თავისი მისია შეასრულა, პირველი გავარდნილი ჩემპიონი „ბარსელონა" გახდება.

**ჩელსი — ლევსკი**

**მაურინიუს** გუნდმა ლიგის წინა ტურში ბრემენში წააგო. დღეს „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" მიზანი მაჩანჩალა „ლევსკის" დამარცხება და ჯგუფური ეტაპის პირველ ადგილზე დასრულება იქნება. ბულგარულმა კლუბმა ჯგუფში ჩატარებული ხუთივე მატჩი წააგო, მაგრამ მეხუთე ტურში „ბარსელონასთან" „ლევსკის" ფეხბურთელებმა ასე თუ ისე ნორმალურად ითამაშეს. საერთოდ კი „ლევსკი" პირველი ბულგარული კლუბია, რომელმაც ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა შეძლო და საშინელ A ჯგუფში ჩავარდნილს გულშემატკივრები ციდან ვარსკვლავებს მოწყვეტას ვერაფრით მოსთხოვდნენ.

„ჩელსის" პრემიერლიგაში „არსენალთან" პრინციპული ჯახი ელოდება და ჟოზე მაურინიუსაც დიდი ომის წინ ეშლი კოულის და კლოდ მაკელელეს დასვენება გადაუწყვეტია — ესენი „ლევსკისთან" არ ითამაშებენ.

ბულგარელებს ბურთაობა ძირითადი მეკარის, გეორგი პეტკოვის გარეშე მოუწევთ. ახლახან ნაოპერაციებ პეტკოვს ან ნიკოლაი მიხაილოვი ან ბოჟიდარ მიტრევი შეცვლის.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 10:4 | 8 |
| ლევსკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

## B ჯგუფი

# შარშანდელი წინაპის გემო



კრესპოს მეთორმეტე მოგება უნდა

**ბაიერნი — ინტერი**

**„ინტერის"** მწვრთნელ რობერტო მანჩინის ძალიან უნდა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, რადგან: „პირველ ადგილზე გასული გუნდი მერვედფინალში საპასუხო შეხვედრას შინ თამაშობს, ეს კი გვარიანი უპირატესობაა" — განაცხადა იტალიელმა.

და განა ფელიქს მაგათს გულზე ეხატება მეორე საფეხური? „ჯგუფიდან კი გავედით, მაგრამ ჩვენი მიზანი პირველობაა. შარშან მწარე გაკვეთილი მივიღეთ და ამის გამეორება აღარ მსურს" — განაცხადა „ბაიერნის" თავკაცმა.

შარშან „მილანი" და „ბაიერნი" მერვედფინალში შეხვდნენ. პირველი მატჩი მიუნხენში 1:1 დასრულდა და საპასუხო მატჩში მაგათის გუნდი იძულებული იყო შეეტია, შედეგად 1:4 დამარცხდა და ლიგას გამოეთიშა.

შესაძლოა, ფელიქს მაგათმა ძირითად შემადგენლობაში სებასტიან დაისლერი დააყენოს, ფილიპ ლამი და ბასტინ შვაინშტაიგერი კი დაასვენოს. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა" გასულ უქმეებზე „გლადბახს" შინ ვერ მოუგო და ფანების წყრომა დაიმსახურა, ისევე, როგორც ჩემპიონთა ლიგის წინა საშინაო მატჩში „სპორტინგთან", რომელიც უგოლოდ დასრულდა.

საინტერესოა, რომ „ინტერისა" და „ბაიერნის" წინა სამი შეხვედრა სამჯერვე სტუმართა გამარჯვებით, თან ორბურთიანი სხვაობით დასრულდა. 1988-ში უეფას თასზე „ინტერმა" მიუნხენში 2:0 მოიგო, ხოლო საპასუხოში 1:3 დამარცხდა. ლიგის ამ გათამაშებაში კი გეხსომებათ, „ბაიერნმა" მილანში 2:0 იმარჯვა.

„გლადბახთან" ფრით უკმაყოფილო ფელიქს მაგათმა თქვა: „ჩვენ არ გვაქვს მკვლელის ინსტინქტი. 1:0-ზე მეორე გოლი უნდა მიგვეყოლებინა და იქვე დაგვესრულებინა თამაში, მაგრამ ეს ვერ შევძელით."

„ჯგუფში პირველი ადგილი არ უნდა დავთმოთ — განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა — „გლადბახთან" ფრის მერე უკვე აღარ ვითხოვ, რომ „ბაიერნმა" ბუნდესლიგის პირველი წრე მოიგოს."

რობერტო მანჩინის „ინტერი" კი საუცხოო ფორმაშია. გუნდმა მიჯრით 11 მატჩი მოიგო და მეთორმეტეშიც თუ იმარჯვებს, საკლუბო რეკორდს გააუმჯობესებს. „მიუნხენში მოსაგებად მივდივართ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ფეხბურთელებს გამარჯვება ხელეწიფებათ" — თქვა მანჩინიმ.

ერნან კრესპო: „ამ დროისთვის ძალიან დაბალანსებული და შეხმატკბილებული გუნდი გვყავს. მეთორმეტე მოგება კი კიდევ უფრო გაგვაძლიერებს ფსიქოლოგიურად. ვფიქრობ, ამ სეზონში „ინტერს" სკუდეტოს მოგებაც შეუძლია და ჩემპიონთა ლიგისაც."

„ინტერს" შეტევაში კვლავ კრესპო-იბრაჰიმოვიჩის წყვილი ეყოლება, ხოლო ადრინოს ზურგი სტკივა. მანჩინი იმედოვნებს, რომ სადღეისოდ ფაბიო გროსოც მომჯობინდება, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა.

**სპორტინგი — სპარტაკი**

**„სპორტინგს"** ფრეც ხელს აძლევს უეფას თასზე გადასანაცვლებლად, „სპარტაკს" კი მხოლოდ მოგება სჭირდება მესამე ადგილის დასაკავებლად, მაგრამ საეჭვოა, რომ მოსკოვურმა გუნდმა ლისაბონელთა ძლევა მოახერხოს. რუსეთში ჩემპიონატი დასრულდა და „სპარტაკი" სათანადო ფორმაში ვერ იქნება. ის კია, რომ „სპორტინგმა" ბოლო ხუთი საშინაო ევრომატჩიდან ოთხი წააგო და ეს სტატისტიკა სტუმართა სასარგებლოდ მეტყველებს.

გასულ პარასკევს „სპორტინგი" — „ბენფიკას" მატჩს სპარტაკელი მზვერავები დაესწრნენ და ნახეს, რომ „ბენფიკამ" 2:0 იმარჯვა. „სპარტაკის" მწვრთნელმა ვლადიმირ ფედოტოვმა თქვა, რომ ეს თამაში ცხრაჯერ ნახა და მეტოქე დაწვრილებით შეისწავლა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:4 | 9 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

## C ჯგუფი

# თასი, დუდეკი, სტამბოლი



ირჟი დუდეკი ჩემპიონთა თასის ფინალს გაიხსენებს

**გალათასარაი — ლივერპული**

**„ლივერპულის“** მწვრთნელი რაფა ბენიტესი სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში „გალათასარაის“ წინაალმდეგ, კარში პოლონელი ირჟი დუდეკის დაყენებას აპირებს და მედიამ ეს სენტიმენტალურ ჟესტად ჩაუთვალა. რატომ? ძნელი მისახვედრი არ არის რატომაც. დუდეკი, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ შვიდჯერ დაიკავა ადრე ასე ჩვეული ადგილი „ლივერპულის“ კარის ძელებს შორის, 2004 წელს სწორედ სტამბოლში გახდა გმირი — გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, როდესაც „ლივერპულმა“ „მილანი“ პენალტების სერიაში დაამარცხა და მეხუთედ მოიპოვა ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდო? იმ მატჩის მიმდინარეობას ახლა აღარ შეგახსენებთ, მითუფრო, რომ ეჭვი არ არის, შეხსენება არავის სჭირდება, იმას კი გეტყვით, რომ ბენიტესმა გასაგებად თქვა — დღეს, „გალათასარაის“ წინაალმდეგ კარში ხოსე რეინა არ იდგება, იდგება დუდეკი.

ალსანიშნავია, რომ სტამბოლის „ოლიმპიურ სტადიონზე“ ამ თამაშს არანარი მნიშვნელობა არ ექნება. „ლივერპულმა“ ჯგუფში პირველი ადგილი და პლეი-ოფის ეტაპზე გასვლა ადრევე გაინაღდა, „გალათასარაიმ“ კი ოთხი თამაში წააგო და ბოლო ადგილზეა. მოკლედ, თუ მხედველობაში ლივერპულელთა ტკბილ მოგონებებს არ მივიღებთ, სტამბოლში მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. ნუ, 5 ათასი ინგლისელი ფანი, ალბათ დათვრება, მაგრამ ცხრილში ისინიც ვერ შეიტანენ ცვლილებებს.

„ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის, სტამბოლის ამ სტადიონზე თამაში ბრწყინვალე წუთებთან დაბრუნება იქნება — განაცხადა დუდეკმა — თუმცა, მწვრთნელი ძირითად შემადგენლობას თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე იტყვის, ასე რომ, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ველოდები ჩემს შანსს, მუხლჩაუხრელად ვმუშაობ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ყოველ წამს მზად ვარ. მოკლედ, სტამბოლში თამაში ყველასთვის საუცხოო იქნება. ფანებიც კი სიამოვნებით დაბრუნდებიან იმ სარბიელზე, სადაც უდიდესი ზეიმი მოაწყეს“.

როგორც მოგახსენეთ, „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან უკვე გასულია, მაგრამ, ვაგლახ, დიდ ინგლისურ გუნდს თავისტკივილიც არ აკლია — პრემიერლიგაში საშინლად გამოდის. შაბათს, „უიგანგთან“ მოგებული 4:0 ამ სეზონში პირველი წარმატებული სტუმრობა გახლდათ, რაც ვისთვის-ვისთვის და „ლივერპულისთვის“ ცუდი შედეგია.

აი, რას ამბობს „უიგანთან“ დასვენებული თავდამსხმელი პიტერ კრაუჩი:

„სტამბოლთან ჩვენი კლუბის ისტორიის ერთ-ერთი ან სულაც საუკეთესო საღამოა დაკავშირებული. ახლა იქ დიდი სიამაყით ვბრუნდებით და ბევრი გულშემატკივარიც ამიტომ მოგვყვება, თუმცა, ახლა, ჩვენთვის მთავარი პრემიერლიგაში მდგომარეობის გამოსწორებაა. ჩვენ აშკარად არ ვთამაშობთ იმ დონეზე, რომელსაც ქომაგები თავად შევაჩვიეთ. პრემიერლიგაში სტუმრად აშკარად უკეთ გვმართებს თამაში, ჩემპიონთა ლიგაში კი ამ მხრივ მართლაც არა გვიშავს. საბედნიეროდ, მდგომარეობის გამოსწორებას ნაჩვევნი ვართ. შარშან ამ დროსაც ცუდ დღეში ვიყავით, მაგრამ შემდეგ წაუგებელ მატჩთა სერია მოვაყოლეთ“.

**პსვ ეინდჰოვენი — ბორდო**

**აქ ყველაფერი** ნათელია: პსვ ჩემპიონთა ლიგაში განაგრძობს გამოსვლას, ხოლო „ბორდო“ უეფას თასზე გადავა და ევროპულ სეზონს იქ გააგრძელებს. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფის ცხრილს საბოლოო სახე აქვს.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| პსვ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| ბორდო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| გალათასარაი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

## D ჯგუფი

# ლამურა ვნახე დაჭრილი

## ვალენსიაში ფეხბურთელი აღარ დარჩა

**რომა — ვალენსია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, მონტელა

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**ვალენსია:** ბუტელე, კურო ტორესი, დ. ნავარო, რ. ალბიოლი, კარახერია, ხოაკინი, ბარახა, პალარდო, ანგულო, ტავანო, დ. სილვა

**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

**იტალიური** „რომა“ ჩინებულ ფორმაშია და ბოლო პერიოდში კარგადაც თამაშობს. ეს დიდწილად გუნდის კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის დამსახურებაა, რომელიც ნელნელა ფორმაში შედის და ამ სეზონში უკვე 9 გოლი მიითვალა. ლუჩანო სპალეტი, როგორც წესი, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს, რომლის როლსაც სწორედ ტოტი ასრულებს. მირკო ვუჩინიჩი და ვინჩენცო მონტელა კი სათადარიგოთა სკამზე არიან ხოლმე და თამაშში მოგვიანებით ერთვებიან.

„გლადიატორთა“ მთავარ მინუსად სწორედ თავდასხმაში ხალხის ნაკლებობაა, მაგრამ ფაქტია, რომ სერია A-ში ჩატარებული 14 ტურის მერე „რომამ“ ყველაზე მეტი, 32 გოლი გაიტანა. სპალეტის ერთი შეხედვით უცნაური ტაქტიკა ჯერჯერობით ამართლებს. ასე რომ, დედაქალაქელებს წესით, საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“ უმოტივაციო „ვალენსიასთან“ სასურველი შედეგის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეთ. „რომა“ მერვედფინალში ფრის შემთხვევაშიც უპრობლემოდ გავა, ხოლო თუ წააგო, უკვე იმის იმედად უნდა იყოს, რომ დონეცკის „შახტარი“ საბერძნეთში „ოლიმპიაკოსთან“ ვერ მოიგებს.

„რომას“ საქმეს მნიშვნელოვნად უადვილებს „ვალენსიას“ ამჟამინდელი მდგომარეობაც. „ღამურებს“ რთული პერიოდი უდგათ, თან გუნდში ტრავმების ეპიდემიაა. დავიდ ვილია, ფერნანდო მორიენტესი, მარიო რეგეირო, ხაიმე გავილანი, ედუ, მიგელი, დავიდ ალბელდა, კარლოს მარჩენა, ემილიანო მორეტი და ასიერ დელ ორნო დაშავებულნი არიან. ამას რობერტო აიალას დისკვალიფიკაციაც ემატება. ხოლო რუბენ ბარახა და მიგელ პალარდო გაცივდნენ, მაგრამ ალბათ ითამაშებენ. „მესტალიას“ ბინადრებს შეუძლიათ, თავი იმით დაიმშვიდონ, რომ ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული აქვთ.

„ახლა ძალიან რთული პერიოდი გვიდგას, რომელიც შემართებით უნდა გადავლახოთ და წინ ვიყუროთ“ — თქვა „ვალენსიას“ მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა.

ფრანჩესკო ტოტი: „ვცდილობ, ძველებური ფორმა მალე დავიბრუნო და ბოლომდე დავიხარჯო. თავს არც სხვა ფეხბურთელები ზოგავენ. გვინდა, ამ სეზონში მაქსიმალურ წარმატებას მივაღწიოთ და რაც შეიძლება, შორს წავიდეთ. მახსოვს, ზოგი ამბობდა, ტოტის ფეხბურთი მორჩაო, მაგრამ ახლა წესით, ამ ხალხს აზრი უნდა შეეცვალა“.

ეს კლუბები აქამდე ერთმანეთს შვიდჯერ შეხვედრიან. აქედან სამჯერ „რომამ“ მოიგო, ამდენჯერვე — „ვალენსიამ“, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დასრულდა.

„რომამ“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო 12 საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო — ამ სეზონში „შახტართან“ 4:0 . ესპანური კლუბების უკანასკნელი 11 მასპინძლობიდან „გლადიატორები“ ექვსჯერ დამარცხდნენ.

„ვალენსიას“ იტალიური კლუბებთან ბოლო 9 სტუმრობიდან 6 მარცხი აქვს. ალსანიშნავია ისიც, რომ „ლამურებს“ ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ 5 შეხვედრაში სულ მცირე ორი გოლი მაინც გაჰქონდათ.



კიკე ფლორესს გუნდი გაუნახევრდა

**ოლიმპიაკოსი — შახტარი**

**მირჩა ლუჩესკუს** „შახტარმა“ ბოლო ტურამდე ჯგუფიდან გასვლის მიზერული შანსი მაინც შეინარჩუნა. თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თუ დონეცკელები ამ მატჩს წააგებენ, უეფას თასზე გამსვლელი საგზურის გარეშეც დარჩენ.

საერთოდ, „შახტარის“ მთავარი მინუსი სტუმრად სუსტი თამაშია. დონეცკელებმა ჩემპიონთა ლიგაში გამართული რვავე საგარეო მატჩი წააგეს და აქედან ბოლო ხუთში გოლიც კი არ გაუტანიათ.

„ოლიმპიაკოსი“ ჩემპიონთა ლიგაში გამართული უკანასკნელი 12 მატჩიდან ოდენ ერთი მოგებით იწონებს თავს. ევროსარბიელზე ბოლო საშინაო შეხვედრებიდან კი 5 წაგება აქვს.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| რომა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| შახტარი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |

# წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 2 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.65 | 3.50 | 5.30 | 1.12 | 1.25 | 2.10 |
| 23:45 | 3 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 4 | ვესტ ჰემი-უიგანი | 1.95 | 3.30 | 3.85 | 1.22 | 1.29 | 1.77 |
| 23:45 | 5 | ნიუკასლი-რედინგი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |

### ინგლისი. I ლიგა

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 31 | სკანთორპი-ტრანმერი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 32 | ბორნმუთი-ნოტინგემი | 3.60 | 3.30 | 1.90 | 1.72 | 1.24 | 1.20 |
| 23:45 | 33 | ბრაიტონი-სუონსი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 34 | ბრენტფორდი-დონკასტერი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:45 | 35 | ბრისტოლი-კარლაილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:45 | 36 | ოლდემი-ქრიუ | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 37 | პორტ ვეილი-ჯილინგემი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 39 | ბლექპული-ჩელტენემი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 23:45 | 40 | ლეიტონი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:45 | 41 | მილუოლი-ჰადერსფილდი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 42 | ჩესტერფილდი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |

### ინგლისი. II ლიგა

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 55 | ბერი-უოლსოლი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 56 | ჰერეფორდი-პიტერბრო | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 57 | ლინკოლნი-როვერსი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:45 | 58 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 59 | მენსფილდი-სუინდონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 61 | ჩესტერი-ბოსტონი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 23:45 | 62 | ნოტსი-ჰარტლპული | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 63 | უიკომბი-დარლინგტონი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 23:45 | 64 | ბარნეტი-გრიმსბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 65 | დონსი-სტოკპორტი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:45 | 66 | ტორკი-რექსემი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |

### ინგლისი. კონფერენსი

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 693 | ალდერშოტი-ქროული | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 694 | სტ.ალბანსი-მორიკომბი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |

### ჩემპიონთა ლიგა

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 351 | ბარსელონა-ვერდერი | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:45 | 352 | ბაიერნი-ინტერი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 23:45 | 353 | ჩელსი-ლევსკი | 1.05 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.92 |
| 23:45 | 355 | გალათასარაი-ლივერპული | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 23:45 | 356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.95 | 3.40 | 3.40 | 1.23 | 1.23 | 1.70 |
| 23:45 | 357 | პსჟ-ბორდო | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:45 | 358 | რომა-ვალენსია | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 23:45 | 359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.52 | 3.60 | 6.20 | 1.06 | 1.22 | 2.27 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 360 | ანდერლეხტი-აეკ | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 361 | დინამო კ-რეალი | 2.75 | 3.10 | 2.40 | 1.45 | 1.28 | 1.35 |
| 23:45 | 363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 364 | ჰამბურგი-ცსკა | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 23:45 | 365 | ლიონი-სტიაუა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 23:45 | 367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 23:45 | 369 | მილანი-ლილი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:45 | 370 | პორტუ-არსენალი | 3.60 | 1.70 | 4.00 | 1.15 | 1.89 | 1.19 |

### ჰოკეი. ფინეთი

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 466 | ესეტი-პელიკანსი | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| 20:30 | 467 | ჰამეენლინა-იუვესკიულე | 1.50 | 4.20 | 3.70 | 1.10 | 1.06 | 1.96 |
| 20:30 | 468 | იოკერიტი-კერპეტი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 20:30 | 469 | კალპა-ილვესი | 2.30 | 4.20 | 2.05 | 1.48 | 1.08 | 1.37 |
| 20:30 | 470 | სეიპა-ლუკო | 2.00 | 4.20 | 2.35 | 1.35 | 1.08 | 1.50 |
| 20:30 | 471 | ტაპარა-ჰელსინკი | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 486 | ტრჟინეცი-ვიტკოვიცე | 1.85 | 4.10 | 2.70 | 1.27 | 1.09 | 1.62 |
| 20:00 | 487 | ზლინი-ზნოიმო | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 20:30 | 488 | ბუდეიოვიცე-სლავია | 2.10 | 4.20 | 2.35 | 1.39 | 1.10 | 1.50 |
| 20:30 | 489 | პლზენი-პარდუბიცე | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 21:00 | 490 | სპარტა-კლადნო | 1.45 | 4.30 | 4.00 | 1.08 | 1.06 | 2.07 |
| 21:00 | 491 | კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 2.05 | 4.10 | 2.35 | 1.36 | 1.09 | 1.49 |
| 21:30 | 492 | ლიბერეცი-ვსეტინი | 1.20 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 500 | მიკულაში-ნიტრა | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:00 | 501 | პოპრადი-კოშიცე | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:30 | 502 | ტრენჩინი-ზვოლენი | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 20:30 | 503 | ჟილინა-მარტინი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 21:00 | 504 | სლოვანი-სკალიცა | 1.35 | 4.50 | 4.80 | 1.03 | 1.05 | 2.32 |

### ჰოკეი. შვეიცარია

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 528 | დავოსი-კლოტენი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 22:45 | 529 | სერვეტი-ცუგი | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 530 | ციურიხი-ლუგანო | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |

### ჰოკეი. რუსეთი

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 542 | აკ ბარსი-დინამო | 1.38 | 4.60 | 4.50 | 1.06 | 1.05 | 2.27 |
| 15:00 | 543 | ამური-ცსკა | 3.20 | 4.50 | 1.50 | 1.87 | 1.02 | 1.12 |
| 15:00 | 545 | ლადა-მაგნიტოგორსკი | 2.40 | 4.10 | 1.85 | 1.51 | 1.04 | 1.27 |
| 15:00 | 546 | ლოკომოტივი-სიბირი | 1.95 | 4.20 | 2.40 | 1.33 | 1.07 | 1.52 |
| 15:00 | 548 | ს.იულაევი-ტრაქტორი | 1.30 | 4.80 | 5.10 | 1.02 | 1.03 | 2.47 |
| 15:00 | 549 | ავანგარდი-სევერსტალი | 1.30 | 4.20 | 5.00 | 1.00 | 1.03 | 2.28 |
| 15:00 | 550 | ხიმიკი-ასკ | 1.40 | 4.50 | 4.00 | 1.06 | 1.03 | 2.11 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10352 | ბაიერნი-ინტერი | 2.70 | 2.10 | 3.65 | 1.18 | 1.55 | 1.33 |
| 10355 | გალათასარაი-ლივერპული | 2.70 | 2.10 | 3.65 | 1.18 | 1.55 | 1.33 |
| 10356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 2.40 | 2.10 | 3.90 | 1.12 | 1.48 | 1.36 |
| 10357 | პსჟ-ბორდო | 2.15 | 2.20 | 5.00 | 1.08 | 1.50 | 1.52 |
| 10358 | რომა-ვალენსია | 2.10 | 2.10 | 5.50 | 1.04 | 1.51 | 1.51 |
| 10359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.90 | 2.30 | 6.50 | 1.04 | 1.47 | 1.69 |
| 10360 | ანდერლეხტი-აეკ | 2.90 | 2.00 | 3.30 | 1.18 | 1.54 | 1.24 |
| 10361 | დინამო კ-რეალი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 3.20 | 2.00 | 3.00 | 1.23 | 1.54 | 1.20 |
| 10364 | ჰამბურგი-ცსკა | 3.35 | 2.00 | 2.85 | 1.25 | 1.53 | 1.17 |
| 10365 | ლიონი-სტიაუა | 1.55 | 2.90 | 8.00 | 1.01 | 1.29 | 2.12 |
| 10367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.65 | 2.60 | 7.50 | 1.00 | 1.35 | 1.93 |
| 10369 | მილანი-ლილი | 2.45 | 2.10 | 4.00 | 1.13 | 1.51 | 1.37 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11352 | ბაიერნი-ინტერი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11355 | გალათასარაი-ლივერპული | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11357 | პსჟ-ბორდო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11358 | რომა-ვალენსია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11360 | ანდერლეხტი-აეკ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11361 | დინამო კ-რეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11364 | ჰამბურგი-ცსკა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11365 | ლიონი-სტიაუა | 1.65 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.80 | 13.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11369 | მილანი-ლილი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12351 | ბარსელონა-ვერდერი | 2.10 | 1.60 |
| 12352 | ბაიერნი-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12353 | ჩელსი-ლევსკი | 2.20 | 1.50 |
| 12355 | გალათასარაი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 12357 | პსჟ-ბორდო | 1.60 | 2.00 |
| 12358 | რომა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.70 | 1.90 |
| 12360 | ანდერლეხტი-აეკ | 1.60 | 2.00 |
| 12361 | დინამო კ-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 1.60 | 2.00 |
| 12364 | ჰამბურგი-ცსკა | 1.60 | 2.00 |
| 12365 | ლიონი-სტიაუა | 1.90 | 1.70 |
| 12367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 12369 | მილანი-ლილი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13351 | ბარსელონა-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 13352 | ბაიერნი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13355 | გალათასარაი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13357 | პსჟ-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 13358 | რომა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.70 | 1.90 |
| 13360 | ანდერლეხტი-აეკ | 1.70 | 1.90 |
| 13361 | დინამო კ-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13364 | ჰამბურგი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 13365 | ლიონი-სტიაუა | 1.90 | 1.70 |
| 13367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.90 | 1.70 |
| 13369 | მილანი-ლილი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14352 | ბაიერნი-ინტერი | 1.80 | 2.00 |
| 14355 | გალათასარაი-ლივერპული | 1.75 | 2.10 |
| 14356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.70 | 2.20 |
| 14357 | პსჟ-ბორდო | 1.45 | 2.40 |
| 14358 | რომა-ვალენსია | 1.30 | 2.50 |
| 14359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.28 | 2.50 |
| 14360 | ანდერლეხტი-აეკ | 1.80 | 1.90 |
| 14361 | დინამო კ-რეალი | 1.95 | 1.75 |
| 14363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 1.90 | 1.90 |
| 14364 | ჰამბურგი-ცსკა | 2.00 | 1.80 |
| 14365 | ლიონი-სტიაუა | 1.05 | 2.90 |
| 14367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.06 | 2.90 |
| 14369 | მილანი-ლილი | 1.65 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15351 | ბარსელონა-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15352 | ბაიერნი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15353 | ჩელსი-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15355 | გალათასარაი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | პსჟ-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | რომა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | ანდერლეხტი-აეკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | დინამო კ-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | ჰამბურგი-ცსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | ლიონი-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | მილანი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16352 | ბაიერნი-ინტერი | 1.50 | 2.10 |
| 16355 | გალათასარაი-ლივერპული | 1.50 | 2.10 |
| 16356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.35 | 2.60 |
| 16357 | პსჟ-ბორდო | 1.25 | 3.10 |
| 16358 | რომა-ვალენსია | 1.20 | 3.40 |
| 16359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.17 | 3.90 |
| 16360 | ანდერლეხტი-აეკ | 1.60 | 2.00 |
| 16361 | დინამო კ-რეალი | 2.00 | 1.60 |
| 16363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 1.80 | 1.80 |
| 16364 | ჰამბურგი-ცსკა | 2.00 | 1.60 |
| 16365 | ლიონი-სტიაუა | 1.06 | 5.70 |
| 16367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.08 | 5.00 |
| 16369 | მილანი-ლილი | 1.35 | 2.60 |

### გოლი:ლუწილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17351 | ბარსელონა-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17352 | ბაიერნი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17353 | ჩელსი-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17355 | გალათასარაი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ოლიმპიაკოსი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | პსჟ-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17358 | რომა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17359 | სპორტინგი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17360 | ანდერლეხტი-აეკ | 1.85 | 1.95 |
| 17361 | დინამო კ-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17363 | კოპენჰაგენი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | ჰამბურგი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17365 | ლიონი-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17367 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17369 | მილანი-ლილი | 1.85 | 1.95 |

## ქართული ლეგიონი

# ოლიმპია დამშვიდდა

ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კვირა გამოვიდა, გამორჩეული არაფერი მომხდარა, ზოგმა ლეგიონერმა ოდნავ წაიბორძიკა, ზოგმაც იჩაუქა და ასე შემდეგ... ამ ერთფეროვნებაში მაინც იყო ინტერესის ეპიცენტრი და ის მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიას" ეხება, სადაც ოთხმა მოთამაშემ უხელფასობის გამო გუნდის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა.

დანამდვილებით არ ვიცით, დაურიგდათ თუ არა მოჯანყეებს ხელფასი, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ მილიჩმა, იურკოვიჩმა, რანიკომ და არსლანმა კვირას ადრიატიკის ლიგაში FMP-ს წინააღმდეგ ითამაშეს. არადა, ამ კვარტეტს ნათქვამი ჰქონდა, „მაკაბისთან" მატჩის შემდეგ მისაღებს თუ არ მივიღებთ, მოედანზე აღარ გავალთო. „ოლიმპია" FMP-ს ბელგრადში ბოლომდე ებრძოლა, ლიგის მოწინავე გუნდს ტოლი არაფერში დაუდო, მაგრამ ოვერტაიმში მაინც წააგო.

მარკოიშვილმა ოლიმპიელებს 36 წუთში 12 ქულა და 3-3 მოხსნა-პასი შეაწია. მანუჩარი შედეგიანი იყო თელ ავივშიც, ევროლიგის ეგიდით ჩატარებულ მატჩში — 31 წუთში 10 ქულა და 4 მოხსნა.

შედეგიანად გაისარჯა ვახტანგ ნაცვლიშვილიც, რომლის „დიჟონმა" გასულ კვირაში თითო მოგებ-წაგება იგემა. ევროთასზე დიჟონელებმა ისრაელში მოსაგები თამაში წააგეს „ნაჰარიასთან", თუმც ჯგუფიდან გასვლის შანსებს ინარჩუნებენ. ვატომ ნაჰარიაში 22 წუთი ითამაშა და 9 ქულა და 6 მოხსნა დაუგროვდა. 6 მოხსნა და ამდენივე ქულა მიაშველა ნაცვლიშვილმა თავისიანებს საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „როანთან" მატჩში. „დიჟონმა" გმირობის ტოლფასი გამარჯვება მოიპოვა — „როანი" სტუმრად 86:85 დაამარცხა.

ვიქტორ სანიკიძემ „ესტუდიანტესში" თამაშის რეკორდი დაიმყარა. ის აქამდე მოედანზე 10 წუთზე მეტი არ გასულა — ესპანეთის ჩემპიონატის გასულ ტურში კი „ხირონათან" 11 წუთი ითამაშა და 3 ქულასთან ერთად 2-2 მოხსნა-პასი მიითვალა. სამწუხაროდ, „ესტუდიანტესმა" წააგო, რაც თავის მოედანზე პირველად შეემთხვა ამ სეზონში.

იტალიაში ვლადიმერ ბოისა მარტო აღარაა, „ნაპოლიში" ახლახან საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი ტაირონ ელისი გადავიდა. გასული კვირა ორივე მათგანისთვის უიღბლო გამოდგა. ბოისამ ულებ-ის თასზე 17 უქულო წუთი გაატარა „ოსტენდეს" წინააღმდეგ, ხოლო სერია A-ში 9 წუთში ოდენ 2 ქულა ჩაუგდო „ბიელას".

თუკი გასული [illegible] სო ლეგიონერის [illegible] დგება საქმე, ზაზა ფაჩულიას ვერავინ შეეცილება. „ატლანტას" ქართველმა ცენტრმა სამი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13-13 ქულა-მოხსნას აგროვებდა. ფაჩულიამ ამ სეზონში უკვე მეორედ დაჩაგრა „კლივლენდის" ლიტველი გოლიათი ჟიდრუნას ილგაუსკასი. ამ უქმეებზე ზაზამ 20 ქულა ჩაუგდო „კლივლენდს" და უფრო მეტი დაუგროვდა, ვიდრე ამ გუნდის ორ მეფარეს — ილგაუსკასს და ღრიუ გუდენს ერთად აღებული.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ჩელენჯ კაპი | ჩერკასკი | შ | 99:74 | 32 | 5 | 1 | 4 |
| | | ესტონეთის ჩემპ. | ფაუსტო | შ | 89:67 | 21 | 7 | 2 | 6 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | FMP | ს | 108:112 | 36 | 12 | 3 | 3 |
| | | ევროლიგა | მაკაბი | ს | 87:110 | 31 | 10 | 4 | 1 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ბიელა | ს | 72:74 | 9 | 2 | 1 | 1 |
| | | ევროთასი | ოსტენდე | ს | 82:69 | 17 | 0 | 3 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი | ნაჰარია | ს | 80:91 | 22 | 9 | 6 | 0 |
| | | საფრანგეთის ჩემპიონატი | როანი | ს | 85:85 | 20 | 6 | 6 | 3 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | ხირონა | შ | 64:77 | 11 | 3 | 2 | 2 |
| | | ევროთასი | პლოეშტი | შ | 117:111 | არ უთამაშია | | | |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | პასვალიო | შ | 91:85 | 6 | 0 | 2 | 1 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | დორლანდო | ს | 63:66 | 13 | 0 | 2 | 0 |
| | | ევროლიგა | ფენერბაჰჩე | შ | 78:83 | 16 | 2 | 4 | 3 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპ. | ვაშინგტონი | ს | 95:96 | 26 | 8 | 14 | 4 |
| | | | კლივლენდი | შ | 95:106 | 38 | 20 | 11 | 2 |
| | | | შარლოტი | შ | 99:90 | 31 | 12 | 13 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



AFP

მანუჩარ მარკოიშვილმა (ბურთით) „მაკაბის" 10 ქულა ჩაუგდო

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ატლანტა ჯო-ჯომ გაალამაზა

3 დეკემბერი

**პორტლენდი 96:107 ატლანტა**

პორტლენდი: ჯეკი (9), უდოკა (8), აუთლოო (8), რენდოლფი (30), პრჟიბილა; ვებსტერი (18), მაგლორი (8), როდრიგესი (8), ოლდრიჯი (6), დიქსონი (1)

ატლანტა: კლაქსტონი (7), ჯონსონი (33), სმიტი (13 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), უილიამსი (6), ფაჩულია (31 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა); ლუ (19), სტუდემაიერი (11), ჯონსი (4), რაიტი (2), ფრეი, ბოზმანი

**კლიპერსი 116:91 ორლანდო**

კლიპერსი: ბრენდი (31), ტომასი (20), მაგეტი (17)

ორლანდო: ჰოვარდი (16), თურქოღლუ (15), ნელსონი (13)

**ფილადელფია 84:95 მინესოტა**

ფილადელფია: აივერსონი (26), დალემბერტი (15)

მინესოტა: დევისი (22), ჯეიმსი (20), გარნეტი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**შარლოტი 97:89 დეტროიტი**

შარლოტი: ოკაფორი (18), მეი (17), კეროლი (16)

დეტროიტი: ვოლესი (19), ჰამილტონი (17), ბილაფსი (14)

წინ გაჭრილი „ორლანდოს" დევნა არარეალური ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილისთვის ბრძოლა კი სავსებით ეწიფება ზაზა ფაჩულიას „ატლანტას", მით უფრო, რომ ჩემპიონი „მაიამი" საზიზღარ ფორმაშია, „ვაშინგტონი" კი მთლად კრიზისში. კვირას „ატლანტამ" პორტლენდში იქაური „თრეილ-ბლეიზერსი" დასცა და კიდევ ერთხელ აინაცვლა საკუთარ დივიზიონში მეორე ადგილზე.

არადა, „ატლანტას" „პორტლენდში" 1997 წლის შემდეგ არ მოეგო, 2002 წლიდან კი ამ გუნდთან არც შინაურ მატჩებში უმართლებდა, ზედიზედ სულ 9 მატჩი წააგო. ახლა კი იმის დასტურად, რომ აღმავლობის გზაზე არიან, „ქორებმა" დამაჯერებელი გამარჯვება ჩაიწერეს.

ზაზა ფაჩულიას ისე მძლავრად არ უთამაშია, როგორც ორი დღის წინ „კლივლენდთან", მაგრამ ნორმალურად ისროდა — თამაშიდან 8 ტყორცნიდან 4 ჩააგდო და 5 საჯარიმოდან კი 4 გამოიყენა.

„ატლანტას", როგორც ყოველთვის, ჯო ჯონსონმა ულიდერა, რომლის საარაკო სტაბილურობა „ჰოქსის" ძველ ქომაგებს დომინიკ უილკინსის ოქროცურვილ ეპოქას ახსენებს, ახლებს კი მომავლის მოლოდინს უფერადებს.

„ჯო დიდებულია, მას ყველაფერი შეუძლია მოედანზე, ის ამ გუნდის ნამდვილი ლიდერია" — ტაირონ ლუ თანაგუნდელზე რიგითი გულშემატკივრის მსგავსი აღტაცებით საუბრობს.

**კოტე ყორშია**



ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე ბინძურმა მოთამაშე ჯამალ მაგლორმა ზაზა ფაჩულიას ბურთის ნაცვლად სახეზე დააფარა

## თვის მოთამაშეები



**აღმოსავლეთი**

დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)



**დასავლეთი**

იაო მინი (ჰიუსტონი)

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ რეგულარული ჩემპიონატის პირველი თვე ჩაათამაშა და გამორჩეულთა დასახელების დროც დადგა. ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ აღმოსავლეთში „ორლანდო მეჯიქის" მეფარე დუაიტ ჰოვარდი დასახელდა, დასავლეთში კი „ჰიუსტონ როკიტსის" ჩინელი ცენტრი იაო მინი.

საუკეთესოთა გამოვლენას დიდი მითქმა-მოთქმა ახლდა. ბევრი კამათობდა თუნდაც ჰოვარდის ამორჩევაზე, მაგრამ სტატისტიკოსებმა ყველა ჩააჩუმეს. ჰოვარდის „ორლანდო" აღმოსავლეთში უპირობოდ პირველობს —ნოემბერში 16 თამაშიდან 12 მოიგო, თავად დუაიტმა კი ამ 17 მატჩიდან საშუალოდ 17,1-ქულის გარდა ნბა-ში უბევრესი 13,6-მოხსნიანი მოსავალი აიღო.

იაო მინის „ჰიუსტონი" დასავლეთში ვერ პირველობს, თუმც 16 თამაშში 11 მოგებაც არაა ურიგო შედეგი. თავად იაოს კი შეუძლია 25,7 ქულით და 10,1 მოხსნით იტრაბახოს.

დასახელდნენ თვის რჩეული მწვრთნელებიც და ახალბედებიც. მწვრთნელებში დასავლეთში საუკეთესოდ „იუტას" თავკაცი ჯერი სლოუნი აღიარეს (13 მოგება, 4 წაგება), აღმოსავლეთში კი „ორლანდოს" დამრიგებელი ბრაიან ჰილი (12-4). ნოემბრის ახალბედები კი არიან აღმოსავლეთში ადამ მორისონი (შარლოტი), ხოლო დასავლეთში რუდი გაი (მემფისი).

თვის სიმბოლური ხუთეული: სტივ ნეში (ფინიქსი), ჯო ჯონსონი (ატლანტა), კარმელო ენტონი (დენვერი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო), იაო მინი (ჰიუსტონი)

ჩოგბურთი

# 207,5 და 138

## მაკამ სეზონი რეკორდებით დაასრულა



საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა მისთვის საკმაოდ წარმატებული სეზონი მაჟორულად დაასრულა. მაკა მილანში დასრულებული 50 ათასიანი ტურნირის ფინალში გავიდა და ამის წყალობით WTA-ს კლასიფიკაციაში კარიერის უმაღლესი — 207,5 სარეიტინგო ქულით უმაღლესვე — 138-ე ადგილს უწია.

ჯერ მილანის ამბები ვთქვათ. იქაურ ხალიჩაზე ჩახნაშვილმა მართლაც კარგად ითამაშა და პირველ ორ წრეში თუ მეორე ასეულის მოთამაშეებს მოუგო, მეოთხედფინალში 6:3 4:6 6:4 დაამარცხა რეიტინგის 78-ე ნომერი, ფინელი ემა ლაინე. მერე ქართველმა ნახევარფინალშიც იმარჯვა, კლასიფიკაციის 111-ე ნომერს, უკრაინელ იულია ბეიგელზიმერს 6:4 7:6 მოუგო და ITF-ის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებზე წელს მე-4 ფინალს უწია. წინა სამიდან მაკამ ორი მოიგო და ამჯერად კი გასამება ველარ შეძლო — იტალიელ რობერტა ვინჩისთან 2:6 4:6 დამარცხდა.

მიუხედავად ამ წაგებისა, მაკამ, როგორც ვთქვით, სეზონი კარიერის უმაღლესი სარეიტინგო პოზიციით დაასრულა და ეს ადგილი იანვარში გასამართი ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებას იძლევა.

წინა კლასიფიკაციასთან შედარებით ჩახნაშვილმა მთელი 15 ადგილით წაიწია წინ, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქართველ ჩოგბურთელებზე. ანა ტატიშვილმა ერთი პოზიცია დაკარგა და 76,75 ქულით 302-ე საფეხურზე ჩაინაცვლა. სოფო მელიქიშვილი 66,5 ქულით და ისევ 328-ეა. სალომე დევიძემ, ვისაც 25,5 ქულა აქვს, სამი ადგილით დაბლა, 545-ზე ჩაინაცვლა. სოფო შაფათავამ თავისი 15,25 ქულით სამი საფეხურით უკან, 694-ეზე დაიხია. ორი პოზიცია დაკარგა და 12 ქულით 777-ეა ეკა გორგოძე, ხოლო ათასეულში მყოფმა კიდევ ერთმა ჩვენებურმა მანანა შაფაქიძემ 47 ადგილით უკან დაიხია და ახლა 7,5 ქულით 947-ეა.

ათასეულს მიღმა კიდევ ორი ქართველია. თეონა ცერცვაძემ ორი ნაბიჯი უკან გადადგა და 5,25 ქულით 1113-ე პოზიციაზე დაფუძნდა, ხოლო მარიამ ქურდაძემ ხუთი ადგილი დათმო და 2,75 ქულით 1364-ე საფეხურზე ჩაინაცვლა.

ძიუდო

# ქართველებმა უქართველო ტატამიც შეირგეს

გასულ კვირას მოსკოვმა 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს ნაკრებმა საერთაშორისო სეზონი ამ ტურნირამდე დაასრულა და უკვე მომავალი წლისთვის ემზადება. მეორე კვირაა, შოთა ხაბარელის გუნდი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად თბილისურ შეკრებას ატარებს. მოსკოვის ტატამზე კი მხოლოდ სხვა ქვეყნების სახელით მოჭიდავე ჩვენებურები გავიდნენ და რიგიანადაც იჭიდავეს.

ყველაზე მეტად ბერძენთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ილიას ილიადისმა, იგივე ჯარჯი ზვიადაურმა იყოჩაღა. უფროსთა შორის დიდი ტურნირების ჩემპიონ-პრიზიორი ძიუდოისტისთვის 23-წლამდელებში მიღწეული წარმატება ერთი შეხედვით დიდი მიღწევა არც უნდა იყოს, რომ არა ერთი ფაქტი. ჯარჯიმ ამჯერად ოქროს მედალი 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა. საჩემპიონო გზაზე მან ბრიტანელი ენდრიუ ბარნსი, გერმანელი ბენიამინ ბერლა, რუსი ასხაბ კოსტოევი და ლიტველი ეგიდიუს ზილინსკასი ჩამოიცილა.

ილიადისის ძველ წონაში — 81 კილოგრამში კვარცხლბეკზე რუსეთის სახელით მოჭიდავე ერეკლე კოპალიანი ავიდა, თან პირველი შეხვედრა სწორედ ბერძენ ილიას ილიადისს (ოღონდ სხვას) მოუგო. მერე კოპალიანი მოულოდნელად ჩერნიგორიელ სრეჯან მრვალიევიჩთან დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. იქ კი ჯერ ბრიტანელ ადამ ბიკს სძლია, ხოლო შემდეგ უკრაინელ ვიტალი დუდჩიკს.

21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონმა, ბერძენთა კიდევ ერთმა ქართველმა რევაზ ზიდირიდისმა 23-წლამდელებში ბრინჯაო მიითვალა. ოქროს შანსი მან პირველსავე წრეში დაკარგა რუმინელ გეორგე ფასიესთან. მოგვიანებით ეს რუმინელი ჩემპიონი გახდა, ზიდირიდისმა კი რეპეშაჟში ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამწუხრა — ლატვიელი იურის ბოგდანოვიჩი, პოლონელი მარეკ კრეციელევსკი, მოლდოველი ვიქტორ სკვორტოვი და ჰოლანდიელი იასპერ დე იონგი.

60 კილოგრამში ბელარუსიის სახელით მოასპარეზე მაქსიმ ჯამილაშვილმა მხოლოდ პირველი წრე დაძლია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ჯარჯი ზვიადაურმა ფინალში ლიტველი ეგიდიუს ზილინსკასი დაჯაბნა

კრივი



# ექსპერიმენტები არ იქნება

## ერევანში ნაცადი გვარდია წავა

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები სეზონის დამაგვირგვინებელ საერთაშორისო ტურნირზე სრული შემადგენლობით გამოვა. დავით ცერცვაძის რჩეულთა საბოლოო სია ამ დილით გაცხადდება, ხვალ კი ქართული გუნდი სომხეთში გაემგზავრება.

„წინ უმძიმესი სეზონი გველის და ერევნული ტურნირი შეიძლება, უკვე მის სამზადისადაც კი ჩაითვალოს — გვითხრა გუშინ დავით ცერცვაძემ — ამჯერადაც იმ ბირთვს დავეყრდნობი, ოთხი თვის წინ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე რომ იკრივეს. სრულ შემადგენლობას ხვალ მოგახსენებთ. სომხეთში თექვსმეტკაციანი დელეგაციით გავემგზავრებით. აქედან თორმეტი მოკრივე იქნება“.

**ოთარ მხეიძე**

ჭადრაკი

# კრამნიკმა კომპიუტერთან ტოპალოვი გაიხსენა



კომპიუტერი არ ფიქრობს, მხოლოდ საუკეთესო სვლებს ირჩევს და ადამიანივით ემოციებსაც არ ჰყვება. ვლადიმირ კრამნიკისა და „დიპ ფრიცის“ შეხვედრაშიც კომპიუტერი ყოჩაღობს, 3:2 უგებს ადამიანს და საეჭვოა, დარჩენილ ერთ პარტიაში რაიმე დათმოს.

მეხუთე შეხვედრაში კრამნიკს თეთრი ფიგურები ჰყავდა და პარტია 35-ე სვლაზე ყაიმით დაასრულა.

დიდოსტატმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მარცხენა მხარეს მსუბუქი ფიგურები გამოუშვა და უკანა ფლანგი გააძლიერა. კომპიუტერმა ცენტრიდან შეუტია ადამიანს, გამაგრებული დაცვა გაარღვია და მე-12 სვლაზე ლაზიერი გაუცვალა. მეტოქეები ფიგურების გაცვლაზე გადავიდნენ, კრამნიკმა ხელმწიფის ფლანგზე დაქოქა ძალები და პაიკების გაყვანას შეუდგა. „დიპ ფრიცმა“ დიდი წინააღმდეგობა დაახვედრა მომხვდურს, საპასუხოდ ცხენი გამოაჭენა, თეთრ მეფეს სვლები სამჯერ გაამეორებინა და ყაიმზე დაიყოლია.

„საინტერესო და დაძაბული შეხვედრა გამოვიდა. სამწუხაროდ, ვერ მოვიგე, მაგრამ თამაშით უკმაყოფილო არ ვარ — განაცხადა კრამნიკმა — ვესელინ ტოპალოვთან ჩატარებული საჩემპიონო მატჩის შემდეგ საკმაოდ გადავილალე და საუკეთესო თამაშს ამიტომაც ვერ ვაჩვენებ.“

**ლაშა გეგეჭკორი**




## სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31); "სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28)

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი
## 30 ნოემბერი - 3 დეკემბერი



რენატე გიოტჩლი

# მირერი: პირველი კოცნა, გიოტჩლი: ოცდამეცხრამეტე

სენსაციურად დასრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ბეივერ კრიკში მსოფლიოს თასის გათამაშების სლალომის ეტაპი. უცნობმა შვედმა ანდრე მირერმა, ვისი აქამდელი უმაღლესი მიღწევაც ორი წლის წინ, სლოვენიური კრანსკა გორას ეტაპზე დაკავებული მეორე ადგილი იყო, უკვე პირველი დაშვებისას შეიქმნა სოლიდური ფორა და მოპოვებული უპირატესობა მეორე ცდაზე უმტკივნეულოდ შეინარჩუნა.

მირერის გამარჯვებაზე არანაკლებ მოულოდნელი იყო კანადელი მაიკლ იანიკის მეორე ადგილი და ფავორიტად მიჩნეულებმა კი, ბოლო ორი მსოფლიოს თასის მფლობელებმა, ავსტრიელმა ბენჯამინ რაიხმა და ამერიკელმა ბოდე მილერმა პირველივე ცდაზე დაასრულეს ასპარეზობა.

თუ მირერმა კარიერაში, ოდენ პირველი სამსოფლიოთასო გამარჯვება მოიპოვა, სახელოვან ავსტრიელს რენატე გიოტჩლს უკვე 39 ეტაპი აქვს მოგებული. ამჯერად გიოტჩლმა კანადურ ლეიკ ლუისში სუპერგიგანტის ტრასაზე იმარჯვა და ამის წყალობით საერთო ჩათვლაში ერთბაშად მეოთხე ადგილზე აიწია. მეორე ადგილზე ამერიკელი ლინდსი კილდოუ გავიდა, ვინც საერთო ჩათვლაშიც მეორეა და 16 ქულითღა ჩამორჩება ავსტრიელ ნიკოლ ჰოსპს. მესამე კი მასპინძელი კელი ვანდერბიკი იყო და ის გახდა 1989 წლის შემდეგ პირველი კანადელი ქალი, მშობლიური ეტაპის პოდიუმზე შედგომა რომ მოახერხა.

კვლავ წარუმატებლად იასპარეზა სეზონის ფავორიტად მიჩნეულმა ანია პერსონმა. ყველაფრის მომგები შვედი ამჯერად მხოლოდ მეექვსე იყო, თუმცა იმის წყალობით, რომ სტაბილურად, ყველა ეტაპზე აგროვებს ქულებს, საერთო ჩათვლაში ანია მაინც ლიდერთა სიახლოვეს ტრიალებს და 178 ქულით მეექვსე ადგილზეა.

## კაცები ბეივერ კრიკი (აშშ)

| სლალომი | |
|---|---|
| 1. ანდრე მირერი (შვედეთი) | 1 წთ. 48,60 წმ (52,59 % 56,01) |
| 2. მაიკლ იანიკი (კანადა) | 1.49,33 (53,61 % 55,72) |
| 3. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) | 1.50,00 (53,45 % 56,55 |
| 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 1.50,37 (54,25 % 56,12) |
| 5. ტომას გრანდი (კანადა) | 1.50,65 (54,10 % 56,55) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 235 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 204 |
| 3. პეტერ ფილი (იტალია) | 184 |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 150 |
| 5. მარკო ბუხელი (ლიხტენშტეინი) | 146 |

## ქალები ლეიკ ლუისი (კანადა)

| სუპერგიგანტი | |
|---|---|
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1. 21,73 |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.21,77 |
| 3. კელი ვანდერბიკი (კანადა) | 1.21,77 |
| 4. კატრინ ვილჰელმი(ავსტრია) | 1.21,85 |
| 5. ჟენევიევ სიმარი (კანადა) | 1.22,02 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 291 ქულა |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 275 |
| 3. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 237 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 211 |
| 5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 205 |



# მსოფლიოს თასი. II ეტაპი
## ლილეჰამერი (ნორვეგია). 2-3 დეკემბერი

# სწორედ ის ამანი

**ტრამპლინიდან** მხტომელებმა თავი ამჯერად ნორვეგიულ ლილეჰამერში მოიყარეს. ფინური კუუსამოსგან განსხვავებით, ამინდს აღარ აურევია და ეტაპიც სრულად ჩატარდა.

გაიღვიძა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ერთ-ერთმა უმთავრესმა სენსაციამ სიმონ ამანმა — ოთხ წლის წინ მორმონთა მხარეში ეს ახალგაზრდა ბიჭი ფანტასტიკურად გამოვიდა და ორი ოქროც მოიგო, მაგრამ მას შემდეგ ღირებული აღარაფერი გაუკეთებია. მსოფლიო თასზე კი შვეიცარიელს თავი საერთოდ არასოდეს გამოუჩენია — აქამდე ერთადერთი ეტაპი მოეგო და ისიც მისთვის იღბლიან 2002 წელს, როცა ოსლოში იხეირა. მაგრამ წლეულს აგერ მეორე ეტაპი ჩაილია და შვეიცარიელი ყველაზე სტაბილურად დაფრინავს. კუუსამოში დაკავებულ მეორე ადგილს ამანმა ლილეჰამერში გამარჯვება დაურთო — ამ ეტაპის პირველ დღეს მისი მჯობნი ვერავინ მოინახა, ან ასეთი ვინ იქნებოდა, როცა მეორე ცდაზე საოცარ, 138 მეტრზე გაფრინდა და თავისთავად ყველა უკან ჩამოიტოვა.

არადა, პირველი ცდის შემდეგ ამანის თანამემამულე ანდრეას კოუტელი ლიდერობდა, მაგრამ მეორე ცდაზე ის „მხოლოდ" 133,5 მეტრზე გადახტა და მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამეზე კი კიდევ ერთი ოლიმპიადის, ოღონდ ამჯერად ტურინის გმირი ავსტრიელი ტომაშ მორგერშტერნი გავიდა, რომელმაც სულ ოდნავ აჯობა თინეიჯერ თანამემამულე გეორგ შლირენცაუერს.

თუმცა ამ 16 წლის ავსტრიელის ჯერი უკვე კვირას დადგა, როცა ახლაგაზრდა მხტომელმა პირველი საკარიერო ეტაპი მოიგო. „ჰარი პოტერად" წოდებულ ალპელს ამანის მსგავსად მეორე ცდაზე განხორციელებულმა ნახტომმა მოუტანა წარმატება — ახალგაზრდა ჯადოქარი 137 მეტრზე გაფრინდა და ლიდერი ანდერს იაკობსენი მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა.

მესამეზე უკანასკნელი წლების ალბათ ყველაზე სტაბილური მხტომელი, პოლონელი ადამ მალიში გავიდა, რომელსაც უკან წინა დღის ტრიუმფატორი შვეიცარიელები — ამანი და კიუტელი მოსდევდნენ.

უნდა აღინიშნოს წინა სეზონის უდავო ლიდერების — ფინელი იანე აჰონენისა და ჩეხი იაკუბ იანდას უსახური გამოსვლები. შარშან მსოფლიო თასის ეტაპების ბედი ძირითადად ამ ორს შორის წყდებოდა, წლეულს კი ისინი ჯერ ხუთეულსაც ვერ გაეკარნენ.



გეორგ შლირენცაუერი

**ქახა ლომაშვილი**

| K-120 | |
|---|---|
| 1. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 265,9 ქულა (128,5 + 138,0) |
| 2. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 260,6 (129,5 + 133,5) |
| 3. ტომას მორგენსტერნი (ავსტრია) | 256,4 (126,0 +135,0) |
| 4. გეორგ შლირენტაუერი (ავსტრია) | 256,7 (126,0 +135,0) |
| 5. მარტინ ჰელვარი (ავსტრია) | 256,0 (126,0 +135,0) |

| K-120 | |
|---|---|
| 1. გეორგ შლირენცაუერი (ავსტრია) | 276,0 (134,0 + 137,0) |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 269,2 (136,0 + 131,5) |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 264,7 (137,5 + 127,5) |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 255,2 (133,0 + 127,0) |
| 5. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 241,8 (128,5 + 126,0) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 230 ქულა |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 166 |
| 3. გეორგ შლირენცაუერი (ავსტრია) | 150 |
| 4. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 125 |
| 5. არტუ ლაპი (ფინეთი) | 120 |



# მსოფლიოს თასი. III ეტაპი
## ლილეჰამერი (ნორვეგია). 2-3 დეკემბერი

# სანტიმეტრები, წამის მეათედები

უცნაურად დაიწყო სათხილამურო ორჭიდის მსოფლიო თასის გათამაშებაც. მეორე ეტაპია, თავის თავს არ ჰგავს ჩრდილოეთის კომბინაციის აღიარებული ლიდერი ფინელი ჰანუ მანინენი — სამეულში რეგულარულად კი შედის ხოლმე, მაგრამ წლეულს პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ჯერ არ შემდგარა.

შაბათის რბოლით დავიწყოთ, როცა დიდად გაიხარეს მასპინძლებმა, რადგანაც თავისიანის, მაგნუს მოანის ტრიუმფი იხილეს. ეს გამარჯვება თვითონ მოანისთვისაც განსაკუთრებულია — ის ხომ წარმოშობით ლილეჰამერიდანაა, მშობლიურ ტრასაზე კი აქამდე არასოდეს ემარჯვა. ისე, ნორვეგიულისთვის ეს კარიერაში მოგებული მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპია.

ტრამპლინიდან ხტომა ნორვეგიელმა ესპენ რიანმა მოიგო, მაგრამ თხილამურებით სრიალში თავი ვერაფრით გამოიჩინა და საბოლოოდ მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა.

რბოლის ბედი მოანს, გერმანელ სებასტიან ჰაზენეისა და ჰანუ მანინენს შორის გაირკვა. აღნიშნულმა ტრიომ ტრამპლინიდან არცთუ კარგად იფრინა, მაგრამ უსწრაფესი სრიალის ხარჯზე ისინი ფინიშის ხაზზე ერთად გავიდნენ და გამარჯვებულის ბედი საბოლოოდ სანტიმეტრებმა და წამის მეასედებმა გადაწყვიტა — მოანი ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა, რაც მხოლოდ ფოტოფინიშზე გამოჩნდა. მეორე ჰაზენეი იყო, მესამე კი — მანინენი.

კვირას ამინდმა სპორტსმენებს ტრამპლინზე მეორე ცდის შესრულების საშუალება არ მისცა. რის გამოც ორგანიზატორებმა სათხილამურო ნაწილი 15-დან 7,5 კილომეტრამდე შეამცირეს და ეტაპი სპრინტად გადააქციეს.

გამარჯვება ავსტრიელმა კრისტოფ ბილერმა დაისაკუთრა, რომელმაც ზედ ფინიშის წინ დაჯაბნა ფინელი ანსი კოივურანტა. მესამეზე ფრანგი მაქსიმ ლაერი გავიდა.

**ქახა ლომაშვილი**

| გამოდევნება (ტრამპლინი + 15 კმ.) | |
|---|---|
| 1. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 38 წთ და 20,3 წმ (ტრამპლინის შემდეგ მე-17 ადგილი) |
| 2. სებასტიან ჰასენეი (გერმანია) | 38.20,4 (16) |
| 3. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 38.20,8 (18) |
| 4. ჟეისონ ლამი-შაპიუი (საფრანგეთი) | 38.25,3 (9) |
| 5. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 39.12,3 (21) |

| სპრინტი (ტრამპლინი + 7,5 კმ) | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 17.30,8 |
| 2. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | 17.32,0 |
| 3. მაქსიმ ლაერი (საფრანგეთი) | 17.35,4 |
| 4. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 17.35,5 |
| 5. ჟეისონ ლამი-შაპიუი (საფრანეგთი) | 17.35,6 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 200 ქულა |
| 2. ჟეისონ ლამი-შაპიუი (საფრანგეთი) | 195 |
| 3. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 176 |
| 4. სებასტიან ჰასენეი (გერმანია) | 172 |
| 5. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 169 |

# დიქსმა კორჟენევსკი გაიარა

## ნაბიჯ-ნაბიჯ დამყარებული რეკორდი




**აცივდა,** ზოგან თოვლიც დევს და მძლეოსანთა ამქარი საზამთრო არდედეგებზეა, თუმც ეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ეკვატორს ქვემოთ კი ახლა ზაფხულია და კანტიკუნტად ტურნირებიც იმართება.

სიდნეის გარეუბანი ჯილონგი ამ უქმეებზე ავსტრალიის სამძლეოსნო ჩემპიონატს მასპინძლობდა და ერთი ისეთი შედეგი გამოცხვა, ავსტრალიას კი არა, მსოფლიოს სამძლეოსნო წრეებს მოედო. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ნათან დიქსმა 3 სათი, 35 წუთი და 47 წამი უჩვენა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი ლეგენდარულ პოლონელ მოსიარულეს, ყველაფრის ჩემპიონ რობერტ კორჟენევსკის ეკუთვნოდა — 2003 წელს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე კორჟენევსკიმ 3:36:3 შედეგი აჩვენა, რომელმაც როგორც ხედავთ, 3 წელი გაძლო. ახალი რეკორდის გამქცევი არა და გამვლელი ნათან დიქსი საკმაოდ ცნობილი მოსიარულეა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიადებზე მყვირალა წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ სრულიად ბრიტანული თამაშები 4-ჯერ მოუგია და მძლეოსნობის ამ უცნაურ სახეობაში უცნობ და შემთხვევით კაცად არ ითვლება.

სამნახევარი საათი სიარულის შემდეგ ბედნიერ დაქსს ფინიშს იქით მთელი ოჯახი დახვდა — ცოლი და მშობლები. ყველა ბედნიერი იყო, თავად რეკორდსმენს კი არც უცდია ცრემლების და ემოციების შეკავება — უბედნიერესი კაცი ვარ, მით უმეტეს, რომ არც კი მეგონა, ასეთ კარგ ფორმაში თუ ვიყავი და ამდენს შევძლებდიო.

**კოტე ყორშია**

# ჰაილე ფუკუოკელი




**7-გრადუსიან** სითბოში, უფრო კი სიცივეში, გვარიანად ტენიანი ჰაერის სუნთქვით და ხელის არა, მაგრამ ხასიათის შემშლელ ქარში მოუწიათ სირბილი ფუკუოკას მარათონის მონაწილეებს. მძლავრმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ამ განთქმული მარათონის მე-60 შეჯიბრზე. გამარჯვება კი მას შეხვდა, ვისაც მანამდეც ძალიან ბევრი მოუგია და სპორტული მსოფლიო უძლიერესი სტაიერის სახელით იცნობს.

სხვადასხვა გრძელ დისტანციებზე მორბენალი, ლეგენდარული ეთიოპიელი, თხზის მსოფლიოს და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰაილე გებრესელასიე იაპონიაში საუკეთესო იყო და გროსმაისტერული შედეგიც აჩვენა — 42 125 მეტრი მან 2 საათში, 6 წუთსა და 52 წამში გაირბინა და დიდრონი გამარჯვებებით მოოჭვილ კარიერაში მეოთხედ ჩამოსცდა 2:07-წუთიან ზღვარს. მის გარდა ეს მხოლო კენიელ ფელიქს ლიმოს მოუხერხებია.

ჰაილეს ფუკუოკური შედეგი საუკეთესოა 2006 წლის მარათონებში და მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩება ფუკუოკას ყველა დროის საუკეთეო შედეგს, რომელიც 2000 წელს იაპონელმა აცუში ფუჯიტამ აჩვენა.

ფუჯიტა ახლაც მონაწილეობდა რბენაში, მაგრამ მხოლოდ მე-12 ადგილი შეხვდა და საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ იაპონელი სტაიერები ათასობით გავიდნენ გრძელ გზაზე, სამეულში მასპინძელთაგან ვერავინ მოხვდა. გებრესელასიეს კვალცხლბეკზე გვერდი დაუმშვენეს შარშანდელმა გამარჯვებულმა, უკრაინელმა დმიტრი ბარანოვსკიმ და ასევე სახელიანმა მარათონელმა, მაროკოელმა ჯაუად ღარიბმა.

**კოტე ყორშია**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუიორკული გოლთაცვენა

3 დეკემბერი

**რეინჯერსი 4:7 აილენდერსი**

*0:4 3:1 1:2*

0:1 შატანი (8), 0:2 საიმონი (10), 0:3 კოზლოვი (17), 0:4 ეშენი (20), 1:4 შენაჰენი (27), 2:4 იაგრი (37), 3:4 შენაჰენი (38), 3:5 კოზლოვი (39), 4:5 შენაჰენი (48), 4:6 კოზლოვი (54), 4:7 კოზლოვი (59)

**ანაჰაიმი 2:3 ლოს ანჯელესი**

*1:1 0:1 1:1*

1:0 გეტცლაფი (7), 1:1 ფროლოვი (19), 1:2 არმსტრონგი (30), 1:3 ფროლოვი (59), 2:3 მარჩანტი (60)




ვიქტორ კოზლოვმა (მარცხნივ) პოკერი შეასრულა

კვირას ლიგაში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა, თანაც ორივე დერბი იყო და ფრიად საინტერესო შედეგებიც აღინიშნა. კალიფორნიულ დერბიში ის გახლავთ აღსანიშნავი, რომ ჩემპიონატის აბსოლუტური ლიდერი საკუთარ ყინულზე დამარცხდა. ამ საქმეში ლომის წილი ლოსანჯელესელთა რუსმა ალექსანდრ ფროლოვმა დაიდო წყვილი გოლით.

ფროლოვზე მეტად ივარგა მეორე რუსმა ვიქტორ კოზლოვმა, რომელმაც ნიუიორკული დერბი სულაც პოკერით დაამშვენა და ასე გადაჯაბნა რეინჯერსელი ბრენდან შენაჰენი, რომელმაც თავის მხრივ სამჯერ აილო „აილენდერსის“ კარი და კარიერაში მე-18 ჰეთ თრიკი შეასრულა. ერთი შაიბა იარომირ იაგრმაც გაიტანა და შედეგად, სეზონის ბომბარდირებისა და გოლეადორების დავაში სწორედ ეს ორი ვეტერანი „რეინჯერი“ ლიდერობს, რომელთაც კარიერაში, ჯამში 1200 გოლზე მეტი აქვთ გატანილი — ბომბარდირებში 40 ქულით იაგრია წინ, ხოლო სნაიპერებში 20 შაიბით ატლანტელ მარიან ჰოსასთან ერთად შენაჰენი პირველობს.

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | | დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტიკი | | | | | | | ცენტრალური | | | | | | |
| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ | | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
| აილენდერსი | 26 | 14 | 9 | 3 | 79:71 | 31 | ნეშვილი | 25 | 17 | 5 | 3 | 89:69 | 37 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 14 | 9 | 2 | 62:66 | 30 | დეტროიტი | 25 | 14 | 7 | 4 | 65:58 | 32 |
| რეინჯერსი | 27 | 13 | 10 | 4 | 88:87 | 30 | ჩიკაგო | 24 | 10 | 12 | 2 | 60:73 | 22 |
| პიცბურგი | 25 | 11 | 10 | 4 | 75:80 | 26 | სენტ ლუისი | 25 | 7 | 15 | 3 | 60:86 | 17 |
| ფილადელფია | 27 | 8 | 15 | 4 | 68:108 | 20 | კოლუმბუსი | 25 | 7 | 16 | 2 | 55:74 | 16 |
| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | | ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
| ბუფალო | 26 | 20 | 4 | 2 | 113:81 | 42 | ედმონტონი | 25 | 13 | 10 | 2 | 71:70 | 28 |
| მონრეალი | 25 | 15 | 7 | 3 | 75:68 | 33 | მინესოტა | 26 | 13 | 11 | 2 | 74:70 | 28 |
| ტორონტო | 28 | 13 | 10 | 5 | 91:92 | 31 | ვანკუვერი | 27 | 13 | 13 | 1 | 59:69 | 27 |
| ოტავა | 27 | 14 | 12 | 1 | 96:73 | 29 | კალგარი | 24 | 12 | 10 | 2 | 66:57 | 26 |
| ბოსტონი | 24 | 12 | 10 | 2 | 68:83 | 26 | კოლორადო | 26 | 12 | 12 | 2 | 81:75 | 26 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | წყნარი ოკეანე | | | | | | |
| ატლანტა | 28 | 17 | 7 | 4 | 96:79 | 38 | ანაჰაიმი | 29 | 20 | 3 | 6 | 102:72 | 46 |
| კაროლინა | 28 | 15 | 10 | 3 | 93:88 | 33 | სან ხოსე | 27 | 20 | 7 | 0 | 85:58 | 40 |
| ვაშინგტონი | 26 | 11 | 9 | 6 | 79:89 | 28 | დალასი | 26 | 17 | 9 | 0 | 74:58 | 34 |
| ტამპა | 27 | 13 | 12 | 2 | 85:87 | 28 | ლოს ანჯელესი | 29 | 10 | 15 | 4 | 81:99 | 24 |
| ფლორიდა | 28 | 8 | 15 | 5 | 69:96 | 21 | ფინიქსი | 24 | 9 | 15 | 0 | 63:92 | 18 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

ბომბარდირები: იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 40 (13+27); მარიან ჰოსა (ატლანტა) 39 (20+19); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 36 (10+26); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 35 (10+25); სიდნი კროსბი (პიცბურგი) 34 (10+24); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 34 (13+21); დენი ჰითლი (ოტავა) 33 (16+17); ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 33 (17+16); ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 32 (20+12); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 32 (12+20); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 32 (17+15); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 32 (15+17); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 32 (16+16).

გოლიადორები: შენაჰენი, ჰოსა 20-20; ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ვანეკი, კოვალჩუკი 17-17; სენ ლუი, ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), კრის დრური (ბუფალო), ერიკ სტაალი (კაროლინა), დერსი ტაკერი (ტორონტო), რაიან სმითი (ედმონტონი), ჰითლი 16-16.

ასისტენტები: იაგრი 27; კრის პრომგერი (ანაჰაიმი), ბრინდამორი 26-26; ნიულანდერი 25; კროსბი 24; ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა), მარკ სავარი (ბოსტონი) 22-22; სელიანე, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 21-21.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 25; ტომ პრეისინგი (ოტავა) 18; ვანეკი, პრონგერი 17-17; ალექსეი ჟიტნიკი (აილენდერსი) 15-15; იაგრი, მეტიუ ლომბარდი (კალგარი) 14-14.



მარიან ჰოსა

# ნოემბერი სელიანესია




ლიგის ხელმძღვანელებმა ნოემბრის შედეგები შეაჯამეს და გასული თვის საუკეთესო მოთამაშედ, ანუ პირველ ვარსკვლავად „ანაჰაიმის“ ფინელი ფორვარდი ტეემუ სელიანე დაასახელეს. ნოემბერში სელიანემ საიუბილეო, კარიერაში მე-500 გოლი გაიტანა. ესეც არ იყოს, ფინელი ვეტერანი 23 ქულით თვის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მისმა გუნდმა კი ლამის ყველა მეტოქეს გადაუარა.

მეორე ვარსკვლავად ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, ატლანტელი მარიან ჰოსა მიიჩნიეს, ხოლო მესამე ადგილი „მონრეალის“ კარის დარაჯ კრისტობალ იუეს ერგო.

რაც შეეხება თვის ახალბედის ტიტულს, ის, ისევე როგორც ოქტომბერში, ამჯერადაც პიტსბურგელი „პინგვინების“ რუს დებიუტანტს ევგენი მალკინს ერგო.



დანიელ ელენა და სებასტიენ ლოები

# ლოების სეზონი გრონჰოლმმა დახურა

**მერალეთა** მსოფლიოს ჩემპიონატის ამგვარ ფინალს, ცხადია, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. ათთვიანი ზემარათონული სეზონის ბოლომდე ოთხი ეტაპით ადრე 32 წლის ფრანგ სებასტიენ ლოებს ზედიზედ მესამე ტიტული პრაქტიკულად, განაღდებული ჰქონდა, რადგან უახლოეს მდევარს, ასევე ორგზის ტრიუმფატორ მარკუს გრონჰოლმს ვეება სხვაობით — 35 ქულით უსწრებდა. და ალბათ თურქეთში მომდევნო რბოლისას მოიპოვებდა კიდეც კლასიკური რალის მორიგ გვირგვინს, მაგრამ შვეიცარიაში, თავისი ვილის მახლობლად ველოსიპედით ვარჯიშისას დაეცა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. ოპერაციამ წარმატებით კი ჩაიარა, მაგრამ ექიმებმა კარგა ხნით აუკრძალეს საჭესთან დაჯდომა.

ლიდერის არყოფნაში ბურთი და მოედანი გრონჰოლმს დარჩა. 38 წლის ფინელის „ფორდი“ სწრაფიც იყო და საიმედოც, თავად პილოტის სუპეროსტატობაზე ლაპარაკი ხომ უხერხულიც კია. მართალია, მარკუსმა სამი რბოლა მოიგო, მაგრამ ავსტრალიაში ავარიის გამო პოდიუმზე ვერ შედგა და სატიტულო შანსიც დაეკარგა. საბოლოოდ, „მფრინავი სუომელი“ სებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

ისე, დიდი უსამართლობა იქნებოდა, იმ კურიოზული ველოტრავმის მიზეზით ლოებს ტიტული ხელიდან გამოსცლოდა. არადა, ასეც მოხდებოდა, გრონჰოლმი მწვანე კონტინენტზე მეხუთის ნაცვლად მესამე ადგილზე რომ გასულიყო. ვინ იცის, ამგვარი ჩემპიონობა იქნებ არც ეკადრა და ბოლო, ბრიტანული ეტაპი არ მოეგო.

უელსის მთავარქალაქ კარდიფის შემოგარენში ეკიპაჟებს მეტად რთულ პირობებში, ნისლსა და თავსხმაში მოუხდათ ჯახირი. ატალახებულ, სრიალა გზებზე არაერთი მანქანა დაილეწა, გრონჰოლმისა და მის თანამემამულე-თანამძღოლ ტიმო რაუტიაინენისთვის კი პრობლემები თითქოს არც არსებობდა. ფინელთა „ფორდი“ პირველივე ჩქაროსნული უბნის მერე დაწინაურდა და სამდღიან საწვალებელში ახლოსაც არავინ გაიკარა. მათ 17-დან ცხრა სპეცმონაკვეთზე ყველას აჯობეს, კარდიფის სტადიონ „მილენიუმის“ მინდორზე მოწყობილ ასფალტის ერთკილომეტრიანი „ტრასის“ ჩათვლით და საბოლოოდ წუთნახევრით ჩამოიტოვეს ავსტრიელი მანფრედ შტოლი, რომელსაც შტურმანად 31 წლის თანამემამულე ქალბატონი ილკა მინორი ჰყავს.

ნორვეგიელი ექსჩემპიონი პეტერ სოლბერგი გრონჰოლმს თავიდან ყოჩაღად კი ებრძოდა (ოთხი ჩქაროსნული უბანიც მოიგო), მაგრამ მერე „სუბარუს“ ძრავ-საბურავების წლეულს ჩვეულმა სენმა იჩინა თავი, 32 წლის „ჰოლივუდ“ პეტერიც ერთი-ორჯერ შეცდა და საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. არადა, სწორედ სოლბერგი ითვლება უელსის გზების მთავარ სპეციალისტად — ოთხი, სარეკორდო მოგება აქვს.

მშვენივრად იჯირითა ლოების შემცვლელმა ესპანელმა ხავიერ პონსმა — სამ რბოლაში 14 ქულას მოუყარა თავი, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გუნდური პირველობის მოსაპოვებლად. გრონჰოლმმა და „ფორდის“ მეორე ფინელმა მძღოლმა მიკო ჰირვონენმა დამაჯერებლად აჯობეს სიტროენელებს და 27 წლის შემდეგ ამერიკულ სუპერკონცერნს მეორედ მოაგებინეს კონსტრუქტორთა თასი.

ეს სეზონი ბრწყინვალე გამოდგა 26 წლის ჰირვონენისთვის — კარიერაში პირველი დიდი პრიზიც მოიგო(ავსტრალია) და საერთო მესამე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება ჩემპიონსა და მეორე პრიზიორს შორის მინიმალურ, ერთქულიან სხვაობას, ასეთივე ვითარება იყო სამი წლის წინაც, მაშინ სოლბერგმა ლოები ჩამოიტოვა და ერთადერთი ტიტული მოიპოვა. მომდევნო ორი სეზონი სებასტიენისა და მისი მონაკოელი თანამძღოლის დანიელ ელენას უზარმაზარი უპირატესობით აღინიშნა — შესაბამისად, პირველობა 36 და 56 ქულიანი სხვაობით მოიპოვეს.

ფანტასტიკური იყო შარშანდელი ტრიუმფი. ლოებმა 16-დან ათი რბოლა მოიგო, აქედან ექვსი ზედიზედ და 127 ქულა დააგროვა. სამივე ეს მაჩვენებელი კლასიკური რალის რეკორდია. წლეულს ფრანგს უფრო მაღალი ტემპი ჰქონდა აღებული — რვა ეტაპზე გაიმარჯვა და ოთხჯერ ფინიშთან მეორე მივიდა, თავისივე შარშანდელ გრაფიკს 13 ქულას „უგებდა“ და კურიოზული ტრავმა რომ არა, ალბათ იმ მიღწევებსაც გააუმჯობესებდა. თუმცა, სებმა ერთი ეპოქალური რეკორდი მაინც დაამყარა — კარიერაში უკვე 28 დიდი პრიზი დაუგროვდა და ლეგენდარული ესპანელის კარლოს საინსის ორი წლის წინანდელი მიღწევა დაამხო. მაგრამ გაისად დალხენილი ცხოვრება მაინც არ ელის, რადგან ბრიტანეთში გამარჯვება გრონჰოლმისთვის უკვე 25-ე გახდა. სხვაობა არც ისე დიდია და ამდენად, სუპერჩემპიონების დავა 2007 წელსაც მეტად მძაფრი იქნება. იმას რა სჯობს, თუკი სატიტულო ბრძოლაში სოლბერგიც ჩაებმება, რომლისთვისაც დასრულებული სეზონი სახელიან კარიერაში ყველაზე უხეირო იყო.

ლოები მესამე პილოტია, ვისაც სარალო ჩემპიონატში სამჯერ გაუმარჯვია. მის გარდა, საფრანგეთს კიდევ ერთი ტიტულიანი ჰყავს — დიდიე ორიოლი (1994, „ტოიოტა“).

სებასტიენი 1974 წლის 26 თებერვალს საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ ობერჰოფენში, გერმანიის საზღვართან ახლოს დაიბადა. მშობლები სკოლის მასწავლებლები იყვნენ. ბავშვობაში სები ტანვარჯიშზე დადიოდა და ალბათ კარიერაც გარანტირებული ჰქონდა, რადგან მამამისი ადრე პროვინციის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებს წვრთნიდა. ლოებმა ოთხი ეროვნული ტიტული მოიგო და საფრანგეთის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა ათეულშიც აღმოჩნდა, მაგრამ, საბოლოოდ მაინც ავტოსპორტმა გადასძალა.

სარალო დებიუტი 1995 წელს შედგა, ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, 2001-ში ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა, 2002 წლიდან კი უფროსების ტურნირში ჩაერთო პირველივე სრულ სეზონში, 2003 წელს, როგორც უკვე ვთქვით, მეორე ადგილზე გავიდა პეტერ სოლბერგის შემდეგ, მერე ფანტასტიკური სამტრიუმფიანი სერია „გამოაცხო“. სამივე ტიტული მშობლიური „სიტროენით“ მოიპოვა.

სებასტიენი მეუღლე სევერინთან ერთად შვეიცარიაში, ჟენევის ტბის პირას ფეშენებელურ ვილაში ცხოვრობს.

გია ახალაძე

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

მეთექვსმეტე ეტაპი. დიდი ბრიტანეთი. 355,9 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3სთ. 20.24,8 |
| 2 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | ჩამორჩა 1.35,5 |
| 3 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.55,2 |
| 4 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, სუბარუ) | 2.37,1 |
| 5 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 3.19,9 |
| 6 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 3.27,5 |
| 7 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 4.08,3 |
| 8 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, შკოდა) | 4.22,6 |

**საბოლოო ვითარება**

1 **ლოები — ელენა** (საფრანგეთი, სიტროენი) 112 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 111; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი (ფინეთი, ფორდი) 65; 4 შტოლი — მინორი 54; სორდო — მარტი 49; 6 პეტერ სოლბერგი — მილსი 40; 7 პონსი — დელ ბარიო 32; 8 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, პეჟო) 25; 9 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 20; 10 ატკინსონი — მაკნილი 20

**კონსტრუქტორთა თასი**

**BP**-ფორდი 195 ქულა, კრონოს ტოტალ სიტროენი 166, სუბარუ WRT 196, **OMV** პეჟო ნორვეი 88, სტობარტ ფორდი 44, რედ ბულ შკოდა 24






ივან ბასო „ჯიროს“ მარშრუტით კმაყოფილია

# 90-ე ჯირო კუნძულზე დაიწყება

საიუბილეო, რიგით 90-ე „ჯირო დიტალია“ გაისად 12 მაისს სარდინიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა კუნძულ კაპრერაზე დაიწყება 24 კილომეტრიანი დროზე გუნდური რბოლით. 3442 კილომეტრის გავლის შემდეგ 3 ივნისს ფინიში ტრადიციულად მილანში იქნება.

საიუბილეო „ჯიროს“ ორგანიზატორებმა საკმაოდ საინტერესო მარშრუტი შეიმუშავეს. კაპრერაზე დაწყებული რბოლა სარდინიაზე გაგრძელდება და მატერიკს 5 მაისს, პირველი დასვენების დღის შემდეგლა მიაშურებს. მერე პელეტონი იტალიას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გაუყვება, ალპებს მიაღწევს, იქ ჯერ საფრანგეთში შეივლის, შემდეგ ავსტრიაში და იტალიაში დაბრუნებული საფინიშოდაც გაეწყობა.

გუნდური რბოლის გარდა მომავალი „ჯიროს“ პროგრამაში ორი ინდივიდუალური ეტაპიც არის. ამათგან ერთი, საკმაოდ მოკლე, ოდენ 13 კილომეტრიანი 25 მაისს გაიმართება, ხოლო მეორე, 42 კილომეტრიანი ბოლოსწინა ეტაპია და მთებმოვლილი ველოსიპედისტები, სავარაუდოდ, სწორედ ამ ეტაპზე გაარკვევენ ჩემპიონის ვინაობას.

მაისამდე ჯერ შორია, მაგრამ მომავალი „ჯიროს“ ფავორიტად აქედანვე ასახელებენ მოქმედ ჩემპიონს, წლევანდელი სადოპინგო სკანდალიდან მშრალად გამოსულსა და დანიური CSC-დან ამერიკულ „დისქავერიში“ გადაბარგებულ ივან ბასოს, ვისაც გაისად „ჯიროს“ მოგებაც უნდა და „ტურ დე ფრანსისაც“. ბასო, ბუნებრივია, ესწრებოდა მომავალი რბოლის მარშრუტის პრეზენტაციას და ძალიან კმაყოფილიც დარჩა — საჩემო ტრასაა, მთები ბევრია და საინტერესო რბოლა იქნებაო, ასე განაცხადა.

ისე, ბასო თუ გაისადაც მოიგებს „ჯიროს“, გახდება დიდი ესპანელის, მიგელ ინდურაინის შემდეგ პირველი მრბოლი, ვისაც იტალიური სუპერრბოლა ზედიზედ ორჯერ მოუგია. ლეგენდარულმა ბასკმა ამის გაკეთება 1992-93 წლებში შეძლო.

გია მუჯირი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხლია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge